გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№17 (912) 26 - 27 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ

როლანდ ახალაიასთან

გვ. 3

„რა გინდათ, ერთი შვილი ციხეში ჩასვეს და მეორეც უკანონოდ დაიჭირონ?!“

იყო თუ არა დაპირისპირება ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის, ვისი გავრცელებულია მუხროვანის კადრები და რაღომ უჩივიან სასამართლოში მამუკა არეშიძეს

მამა გაბრიელი: „ერთად იარეთ, რომ ბოროტებამ არ გადაგჩეხოთ, ლოცვა მთებს ძრავს!“

გვ. 5-6

რა საიდუმლოს ინახავს ბეთანიელ მამათა და არქიმანდრიტი გაბრიელის სხეულები, როგორია საფლავთა გახსნის ტრადიცია და რა კრიტერიუმით შერაცხავს წმინდა სინოდი ბერს წმინდანად

დოდო გუგეშაშვილი: „სახელმწიფოს 8 მილიონი ლარი არ ემეტება იმისთვის, რომ ვეტერანი ზამთარში არ გაიყინოს“

გვ. 7

ნაციონალები ანზორ მელიას კლინიკაში „გული“ პროვოკაციას გეგმავდნენ

რატომ იცავს კბილებით ბაბა ხატიაშვილი დაკავებულ გოგა ონიანს

გვ. 2



გიორგი ვოლსკი: „კლიჩკოს, არჩევნებში გამარჯვების სხვაზე მეტი შანსი აქვს, თუმცა სააკაშვილის კონსულტანტად აყვანას ნამდვილად არ ვურჩევდი!“

გვ. 4

უკრაინის გაქცეული პრეზიდენტის კრიმინალური წარსული

სიღატაკეში გაზრდილი ვიქტორ იანუკოვიჩის „მოოქროვილი რეზიდენცია“ და პრეზიდენტობის საბედისწერო 4 წელი

გვ. 8

ნაციონალები ანზორ მელიას კლინიკაში „გული“ პროვოკაციას გეგმავდნენ

რაფომ იცავს კბილებით ზაზა ხატიაშვილი დაკავებულ გოგა ონიანს

გიორგი იაშვილი

23 თებერვალს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა და ადვოკატი გიორგი ონიანი დააკავა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ფაქტი მაშინვე შეფასდა, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორება, რადგან, დაკავებულისვე განცხადებით, იგი ვაზისუბანში აპირებდა კენჭისყრას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. პროკურატურამ ონიანს ბრალი უკვე წაუყენა და საგანგებო განცხადებაც გაავრცელა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ონიანმა, 2011 წელს, კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობისთვის ხელისშეშლის, ასევე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა დაშინების მიზნით, შპს „დაო-პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი უკანონოდ დააკავა. შპს „დაო-პრინტი“ იმ დროისთვის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ლოგოიან მაისურებს ადამზადებდა და სწორედ ეს ფაქტი გახდა დავით შათირიშვილის დაკავების მიზეზი, რაც მას პირდაპირ დაუფიქსირა საუბარში ონიანმა დაკავების შემდეგ.

ონიანმა, თავის დაქვემდებარებაში მყოფ პოლიციის თანამშრომელს დაავალა პატაკის შედგენა, რომ დავით შათირიშვილი, თითქოსდა უკანონოდ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. რეალურად კი, აღნიშნული შინაარსის ინფორმაცია გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებს მიღებული არ ჰქონდათ. იმავე დღეს, ონიანის ორგანიზებითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით, ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დაკავებულ იქნა დავით შათირიშვილი. პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებულს პირადი ჩხრეკა მხოლოდ დაკავების შემდგომ ჩაუტარეს, თუმცა მას რაიმე ნარკოტიკული საშუალება არ აღმოაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში დავით შათირიშვილი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო, ონიანის ბრძანებით, იგი გლდანი-ნაძალადების სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში იქნა გადაყვანილი. ეს არის ბრალდების მხარის მიერ გავრცელებული განცხადების შინაარსი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავს ნაციონალური მოძრაობის წევრებმა პოლიტიკური სარჩული დაუდეს და თავიდანვე შეეცადნენ, ვითარება ისე დაეხატათ, ონიანი არა ეჭვმიტანილი, არამედ პოლიტიკური დევნილი გამოსულიყო. ჯერ იყო და მთავარ სამმართველოში მისული ნაციონალური მოძრაობის წევრები შენობაში შესვლასა და ონიანის ნახვას ცდილობდნენ, მერე კი მასთან ადვოკატი შევიდა და იქიდან გამოსულმა განაცხადა, რომ ონიანი შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ. რატომღაც ნაციონალური მოძრაობა მთელი შემადგენლობით ანზორ მელიას კლინიკა „გულში“ წავიდა, პროკურატურამ კი ონიანი გულიკო ჩაფიძის კლინიკაში გადაიყვანა, რაც საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა გააპროტესტეს, მაგრამ მალევე გაჩუმდნენ. როგორც შემდეგ ითქვა, ნაციონალები მორიგი პროვოკაციის მოწყობას აპირებდნენ და მელიას კლინიკაც ამიტომ ჰქონდათ შერჩეული. ბატონი ანზორ მელია ძველი თბილისის გამგებლის, ნიკა მელიას მამაა და ვარაუდობდნენ, რომ მას ონიანის ჯანმრთელობაზე ყალბ ცნობას დასტყუებდნენ, თუმცა ვინც ბატონ ანზორს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდებოდათ. ჩაფიძის კლინიკაში ჩატარებულმა კვლევამ კი აჩვენა, რომ ონიანს მკურნალობა არ ესაჭიროებოდა.

პარალელურად, ნაციონალური მოძრაობის წევრებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი დაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეზე და ისიც დაუღალავად იმეორებდა, რომ ეს პოლიტიკური დაკავება იყო.

„ვაანალიზებ რა, ბოლო 6 თვის განმავლობაში ხელისუფლების მიერ, ადვოკატ გიორგი ონიანის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, ვთვლი, რომ ადვოკატ გიორგი ონიანის დაკავება მოხდა პოლიტიკური მოტივით, რომელიც მიზნად ისახავს საადვოკატო საქმიანობიდან მის ჩამოცილებასა და ადვოკატის ინსტიტუტის დაშინებას, რათა ადვოკატებმა ვერ შეძლონ დაცვის უფლების განხორციელება შიშის გარეშე.

საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის, საქართველოში შექმნას ავტოკრატიული მმართველობა, რაც აღმაშფოთებელია. ადვოკატების დაკავება თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მხოლოდ ავტორიტარულ სახელმწიფოებში ხდება. სამი კვირის წინ, გოგა ონიანი დაიბარეს და დაკითხეს მოწმის სახით, რომ იგი ჩამოეცილებინათ მის წარმოებაში არსებულ ბაჩანა ახალაიას დაცვის საქმეს, მაგრამ ვინაიდან ადვოკატმა გიორგი ონიანმა გააგრძელა ძველი შემართებით თავისი საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატი დააკავეს“, — ასეთი განცხადება გაავრცელა ხატიაშვილმა, თუმცა დამეთანხმებით, როცა ადვოკატი ხარ, კანონების ცოდნა აუცილებელია და, როცა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ხარ, გარდა კანონების ცოდნისა, ბევრი სხვა რამეც გევალება. რატომ გამოაცხადა ხელაღებით ხატიაშვილმა ონიანი პოლიტპატიმრად, ვერ გეტყვით, მაგრამ პროკურატურამ დაკავებულს ბრალი რომ დაუდგინოს, სავარაუდოდ, ხატიაშვილს თანამდებობის დატოვება მოუწევს. ხატიაშვილმა ისიც ამტკიცა, ონიანი სცემესო და ეს მაშინ, როცა დაკავებულის ადვოკატმა და ნათესავმა, ცისმარი ონიანმა პირდაპირ განაცხადა, გიორგის ძალადობის კვალი არ ემჩნევა და ფიზიკურ ზეწოლას უარყოფსო...

სხვა თუ არაფერი, ბატონი ზაზა იმაზე რატომ არ იღებს ხმას, როცა იგივე ონიანი, პოლიციელის ფორმით, ქუჩაში აქციის მონაწილეებს მუშტი-კრივს უმართავდა, ანდა მაშინ რატომ არ იბრძოდა ასე ხმალამოღებით, როცა გასული წლების განმავლობაში წინა ხელისუფლებამ ადვოკატები ფოსტალიონებად და ამბის მიმტან-მომტანებად აქცია? თუ ახსოვს ხატიაშვილს, ბოლოს როდის მოიგო საქმე სასამართლოში შეჯიბრობითობის თანასწორობის პირობებში? თუ ახსოვს ხატიაშვილს, ვინ გააძევა სასამართლო დარბაზებიდან ტელევიზია, ბეჭდვური მედია და ვინ დააბრუნა იქ და ვინ გახადა ისევ ხელმისაწვდომი და საჯარო სასამართლო სისტემა? საინტერესოა, ხატიაშვილი აქციებით რომ იმუქრება, რამდენი ადვოკატი გამოვა მის გვერდით დასადგომად და, რაც მთავარია, ონიანის დასაცავად... მეტიც, 25 თებერვალს, ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ თავად ადვოკატებმა მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს და ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს ადვოკატთა ასოციაციის ყრილობის მოწვევისა და ხატიაშვილის გადაყენების მოთხოვნით.

ადვოკატად გახდომამდე, ონიანი ძალოვან სტრუქტურებში, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. სოციალურ ქსელებში არაერთი ვიდეო გავრცელდა, რომლებზეც ნათლად ჩანს, როგორ უქნევს მუშტს მოქალაქეებს პოლიციელი ონიანი და ახლა, როცა იგი ადვოკატი გახდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იმუნიტეტი იცავს და ჩადენილი დანაშაულების გამო პასუხი არ უნდა აგოს. ადვოკატი იქნება თუ მეეზოვე, კანონის წინაშე ყველა თანასწორია და, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს მოვუწოდებთ, უდანაშაულობის პრეზუმპცია დაიცვან და ეჭვმიტანილი ჯერ არც პოლიტიკურ პატიმრად გამოაცხადონ და არც ქვეყნის დამაქცევრად. გამოძიების შედეგებს დაველოდოთ.

P.S. ონიანმა შიმშილობის აქცია დაიწყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მას კლინიკაში გადასაყვანი არაფერი სჭირდა და, უბრალოდ, პროვოკაცია იგეგმებოდა. წინა ხელისუფლება მოშიმშილეებს როგორ უსწორდებოდა, გმირთა მოედანზე მოშიმშილე ვეტერანების დარბევითაც გემახსოვრებათ, თუმცა ონიანს შეუძლია მშვიდად იყოს — მას არავინ შეეხება.

საქართველოს მთავრობამ, ბარაკ ობამასა და ჯო ბაიდენის სახელით, აშშ-ს სრული მხარდაჭერა მიიღო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მიწვევით, ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. საქართველოს დელეგაციისთვის დიდ პოლიტიკურ სიურპრიზად იქცა ის ფაქტი, რომ თეთრ სახლში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის სამუშაო შეხვედრას აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეუერთდა. აუდიენციის ძირითადი თემები აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივა, ასევე საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები იყო.

როგორც **ირაკლი ღარიბაშვილმა** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, აშშ-სთან საქართველოს თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდება:

„მინდა გითხრათ, რომ შეხვედრა მქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან, ბატონ ბარაკ ობამასთან, ასევე მქონდა შეხვედრა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან. ჩვენ განვიხილეთ ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. მივიღე სრული მხარდაჭერა, ჩვენმა მთავრობამ მიიღო სრული მხარდაჭერა ამერიკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის სახელით. მათ დაგვიდასტურეს, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს. ასევე მივიღე დადასტურება და მზადყოფნა იმისთვის, რომ გაღრმავდეს ჩვენ ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. მთლიანობაში, ეს იყო ძალიან პოზიტიური, ნაყოფიერი შეხვედრა და მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა და მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ამ ურთიერთობის გაღრმავებასა და განმტკიცებას, ამერიკასთან ურთიერთობების სფეროში რეალურად, ახალ ეტაპზე გადავდივართ“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, **მაია ფანჯიკიძის** განცხადებით, **„აშშ-ს პრეზიდენტმა ქვეყნის ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა, ასევე მადლობა გადაუხადა პრემიერს საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისთვის ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში და ხაზი გაუსვა იმას, რამხელა მნიშვნელობა აქვს საქართველოს მიერ გადადგმულ კონსტრუქციულ ნაბიჯებს რუსეთთან მიმართებაში. აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია უნდა იყოს შეუქცევადი პროცესი, რაც პრემიერმა, რასაკვირველია, დაუდასტურა. მან აღგვითქვა ამ მიმართულებით სრული მხარდაჭერა“.**

იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელზეც მხარეებმა გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ **„მიუხედავად საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა, ქვეყნებს შორის სათანადო ეკონომიკური თანამშრომლობა არ არის. აშშ-ს პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერს აღუთქვა ამ მიმართულებითაც დახმარება, რომ გატარდება სპეციალური ღონისძიებები იმისათვის, რათა ეკონომიკაშიც ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობა ინტენსიური იყოს“.**

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონიერებას დროებითი კომისია გაუწევს მონიტორინგს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია შეიქმნება, — ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიასა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. კომისია არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის პროცესს დააკვირდება. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივა თავად გენერალურ აუდიტორს ეკუთვნის.

„ინტერპრესნიუსი“

როლანდ ახალაია: „რა გინდათ, ერთი შვილი ციხეში ჩასვეს და მეორეც უკანონოდ დაიჭირონ?!“

იყო თუ არა დაპირისპირება ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის, ვისი გავრცელებულია მუხროვანის კადრები და რატომ უჩივიან სასამართლოში მამუკა არეშიძეს ახალაიები

ბრუსულან შელია
557-100-768

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია თითქმის 15 თვეა, ბრალდებულის სკამზე ზის. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ნაწილი სამართლიანობის აღდგენასა და ბაჩანა ახალაიას გასამართლებას კატეგორიულად მოითხოვს, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლომ ყოფილ ჩინოვნიკს რამდენიმე ეპიზოდში ბრალი მოუხსნა. მათ შორის, ე.წ. ვაშლის თლის, ციხის ბუნტის, ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცთა წამების საქმეებში. ამჟამად, პროკურატურა სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბრალეულობის დამტკიცებას ცდილობს. იგივე საქმეში ბრალი დაუმძიმდა ბაჩანა ახალაიას ძმას, საქართველოდან გაქცეულ დათა ახალაიასაც, რომელიც 2006 წელს, დანაშაულის ჩადენის პერიოდში შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მეტიც, პროკურატურამ დათა ახალაიას ბრალი დაუსწრებლად სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და წამების სხვა საქმეზეც წაუყენა, რის გამოც კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება. აშანტაჟებს თუ არა დათა ახალაია ნაციონალურ მოძრაობას და რატომ ეამაყება უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული შვილები, „ვერსიას“ საპარლამენტო უმცირესობის წევრი როლანდ ახალაია ესაუბრა.

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ — ბაჩანა ახალაია ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარია, პროკურატურა კი პოლიტიკური ანგარიშსწორების ორგანოდ ჩამოყალიბდა. სასამართლო პროცესზეც არაერთხელ დადასტურდა, რომ ჩემი შვილის წინააღმდეგ მოწმეებს აშანტაჟებენ და ამ ფორმით მათგან სასურველი ჩვენების მიღებას ცდილობენ... მსგავსი პროკურატურის პირობებში, სამართლიანობის მიღწევის იმედი არ მაქვს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ის პროკურორები და გამომძიებლები, რომლებიც დღეს ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ საქმეებს „კერავენ“, სამართლიანი სასამართლოს პირობებში, პასუხს აუცილებლად აგებენ. მჯერა, სამართლიანობა მალე იზეიმებს.

— სანამ გამომძიებლებსა და პროკურორებს ემუქრებით, საზოგადოება სამართლიანობის აღდგენად სწორედ ბაჩო ახალაიას გასამართლებას მიიჩნევს. ბევრს ისიც აღიზიანებს, რომ ამ დრომდე, თავდაცვის ყოფილ მინისტრს დანაშაული ვერ დაუმტკიცდა.

— ეს მუქარა არ არის, არც შურისძიებას ვგეგმავ... თანაც ბაჩოს გასამართლება, საზოგადოების კი არა, ივანიშვილისა და ღარიბაშვილის მოთხოვნაა, რადგან მას ძლიერ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. მეტიც, ბაჩოსა და ვანო მერაბიშვილის ციხეში გამოკეტვა რუსეთის სპეცსამსახურების დავალებაა, რადგან ეს ადამიანები საქართველოს თავისუფლებისა და განვითარებისთვის იბრძოდნენ.

— ბაჩო ახალაიას რამდენიმე პატიმარი წამებაში ამხელს, თუ ესეც თავისუფლებისთვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო?

— ბაჩო ახალაიას მსგავს ბრალდებებს მხოლოდ ე.წ. კანონიერი ქურდები უყენებენ, რომლებსაც მასზე შურისძიება სწყურიათ. სხვათა შორის, ერთ-ერთმა „კანონიერმა ქურდმა“ ბაჩოს წინააღმდეგ ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა, თუმცა მოსამართლემ ეს გარემოება არ გაითვალისწინა და მაინც გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. როგორც შემდეგ აღმოვაჩინეთ, აღნიშნული მოსამართლის ცოლი ირაკლი ალასანიასთან დღემდე მუშაობს, ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სასამართლომ ბაჩოს წინააღმდეგ პოლიტიკური გადაწყვეტილება გამოიტანა. თუ სასამართლო ე.წ. კანონიერი ქურდის, მამარდაშვილის ჩვენებას ითვალისწინებს, რატომ არავინ უსმენს ვანო მერაბიშვილს, რომელმაც უკვე ყოფილი მთავარი პროკურორი ციხიდან გატაცებაში ამხილა? ხელისუფლებისთვის მამარდაშვილი მერაბიშვილზე უფრო წონიანი ფიგურაა?!

— უცნაურია, რომ ვანო მერაბიშვილის დაცვას ცდილობთ იმ ფონზე, როცა ბაჩო და დათა ახალაიები მასთან ღიად დაპირისპირებულები იყვნენ. დათა ახალაია საქართველოდან გაქცევის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში

ხომ ღიად საუბრობდა — ვანო მერაბიშვილმა ქვეყანა ახალაიებთან ბრძოლას გადააყოლაო?!

— ჩვენსა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირებაზე საუბარი მხოლოდ შავი პიარის ნაწილი იყო...

— იმის უარყოფასაც შეეცდებით, რომ ნაციონალური მოძრაობის დატოვებას გეგმავდით, ახლა მაინც განმარტეთ, პოზიცია რის სანაცვლოდ შეიცვალეთ?

— ვიმეორებ, მსგავსი ინფორმაციები მხოლოდ შავი პიარის ნაწილია. ჩემზე იმასაც ამბობდნენ, ბავშვებს ჭამს და სახლში მგლები ჰყავს დამწყვდეულიო. ისიც ითქვა, სარდაფში ჭა აქვს გათხრილი და წყალს მხოლოდ იქიდან სვამს, ასევე სახლიდან სამსახურამდე გვირაბი გაიყვანაო. ყველა დაინტერესებულ პირს სახლში ვეპატიჟები, რათა საკუთარი თვალით დარწმუნდნენ, რომ სარდაფში არც ჭა და არც გვირაბი მაქვს. სამწუხაროდ, რაც უფრო არარეალურია ჭორი, საზოგადოება მას მით უფრო იოლად იჯერებს.

— მუხროვანის სპეცოპერაციის ამსახველი კადრების გავრცელებაშიც ბევრმა დათა ახალაიას კვალი დაინახა — კუდ-ის ყოფილი უფროსი თანაგუნდელებზე განაწყენებულია და მათგან მეტ ყურადღებას ითხოვსო. ადასტურებთ, რომ ვიდეოჩანაწერების უკან დათა ახალაია დგას?

— აბსურდია! დათა ახალაიას მუხროვანის კადრები რატომ უნდა გაევრცელებინა, როცა ვიდეოჩანაწერში თავადაც ჩანს?!

> **თანაც მერაბიშვილის განცხადების კრიალაშვილის გარდაცვალებასთან მიბმა გაუმართლებლად მიმაჩნია, მსგავს სისულელეებს მამუკა არეშიძე ხშირად ბოდიალობს, რისთვისაც სასამართლოში ვუჩივლებთ. მას თითოეულ გავრცელებულ სიცრუეზე სასამართლოზე განმარტებებს მოვთხოვთ. თანაგუნდელებისგან არც ყურადღების ნაკლებობას ვგრძნობ.**

— თუ თანაგუნდელებმა ბაჩო ახალაია არ გაწირეს, რატომ არ დადიან ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მის პროცესებზე ან, ვანო მერაბიშვილის მსგავსად, რატომ არ ცდილობენ საერთაშორისო ასპარეზზე მის პოლიტპატიმრად წარმოჩენას?

— დეტალებს არ ჩავუღრმავდები, თუმცა საზოგადოებამ შეაფასოს, რამდენად სოლიდარულია ნაციონალური მოძრაობა ბაჩო ახალაიას მიმართ. ეს კითხვა, ალბათ, იმ ადამიანებს უნდა დავუსვათ, რომლებიც საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებენ. მათ, ალბათ, აქვთ შესაბამისი არგუმენტებიც. ჩემთვის კი მსგავსი საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანია. მე ხომ კარგად ვიცი, რომ ბაჩო ახალაია ბიძინა ივანიშვილის ტყვეა?!

— გიგა ბოკერიას ცოლმაც დათა ახალაია მანიაკად მოიხსენია, ელენე თევდორაძემ კი ციხის ბუნტში ბაჩანა ახალაიას პასუხისმგებლობაზე ისაუბრა...

— ნუ მისვამთ ისეთ კითხვას, რომელზეც ახლა არ ვუპასუხებ! ნამდვილად არ დავწვრილმანდები, ვინ, რა და როგორ თქვა. თუ ვინმემ ჩემი შვილების მისამართით ზედმეტი თქვა ან რამე დააკლო, ყველაფერი მათ ნამუსზე იყოს. მე მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული — ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში სამართლიანობის აღდგენის პირობით მოვიდა, დღეს სწორედ სამართლიანობას ებრძვის. „ქართულმა ოცნებამ“ წელიწადნახევრის განმავლობაში იმაზე მეტი შეცდომა დაუშვა, ვიდრე ნაციონალურმა მოძრაობამ მთელი ცხრა წლის განმავლობაში. რამდენიმე დღის წინ პარლამენტში მოსულმა პრეზიდენტმაც სამართლიანობაზე ისაუბრა, თუმცა რაც ბაჩო ახალაიას პროცესებზე ხდება, უსამართლობაზე მეტია! მიუხედავად ყველაფრისა, ფაქტი სახეზეა — ბაჩო ოთხ ეპიზოდში გამართლდა და ეს ძლიერი წნეხის პირობებში მაინც მოვახერხეთ.

— იმ წნეხზე არაფერი გსმენიათ, რაშიც გამოძიება ბაჩო ახალაიასა და მის უახლოეს მეგობარ მეგის ქარდავას ედავება? მაგალითად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის №1 დაწესებულებიდან პატიმართა მასობრივი გაქცევის მომზადების აღიარების მისაღებად პატიმრების წამების ფაქტზე.

— ამ შემთხვევაში, არც მოსამართლე ვარ და არც პროკურორი, რომ, თუნდაც, მეგის ქარდავას დანაშაულზე ვისაუბრო.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ბაჩო ახალაია მეგის ქარდავას მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის ისჯება?

— უსამართლობის პრეზუმპციასაც არ დავარღვევ... თანაც მიმაჩნია, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირებზე ინდივიდუალურად უნდა გავრცელდეს. დიდი ხანია საბჭოთა კავშირში აღარ ვართ, რომ ადამიანი დანაშაულისთვის კოლექტიურად გაასამართლონ.

— ისე, დათა ახალაია სოციალური ქსელით გავრცელებულ წერილში საქართველოში ჩამოსვლასა და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემაზე საუბრობდა. კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში ჩამოსვლას უახლოეს მომავალში აპირებს?

> **— რა გინდათ, ერთი შვილი ციხეში ჩასვეს და მეორეც უკანონოდ დაიჭირონ?! ხელისუფლება დღეს ახალაიების ოჯახის წინააღმდეგაა მომართული. ყველანაირი ხერხით ჩვენზე ზეწოლასა და შანტაჟს ახორციელებენ. უნდათ, ქვეყნის დამანგრევლებად წარმოგვაჩინონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ, ჩემი შვილები საკუთარ სიმართლეს მაინც დაამტკიცებენ. დადგება დრო და დათა ახალაია საქართველოში აუცილებლად ჩამოვა. თავის სათქმელსაც ხმამაღლა იტყვის, მაგრამ ჯერჯერობით, ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. ამ ეტაპზე საქართველოში სამართლის პოვნა შეუძლებელია.**

ბაჩო ხომ ჩამოვიდა და 15 თვის განმავლობაში პატიმრობაშიც ხომ იმყოფება, რისი დამტკიცება მოახერხა ხელისუფლებამ?! სხვათა შორის, მისი ნახვის უფლებას პროკურატურა დღემდე არ მაძლევს. პარლამენტის თავმჯდომარესაც ვთხოვე, ჩემი შვილის ნახვის უფლება ერთხელ მაინც მომეცით-მეთქი, მაგრამ უარი მივიღე. წლების განმავლობაში პროკურორად ვმუშაობდი, თუმცა არ მახსოვს შემთხვევა, პატიმართან ახლობლის შესვლაზე უარი მეთქვა. ესენი კი, ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ, ამიტომ აღარ ვაპირებ, იგივე თხოვნით პროკურატურას მივმართო. იცით, მიუხედავად ყველაფრისა, არაფერს ვნანობ. ჩვენ სამშობლოს ვემსახურებოდით და ყველაფერს რომ თავიდან ვიწყებდეთ, იგივე გზას კიდევ ერთხელ გავივლიდით. მე, როგორც მამამ, კარგად ვიცი, როგორ აღიზარდნენ ჩემი შვილები და რა საქმესაც აკეთებდნენ ისინი.

— როცა სანდრო გირგვლიანს ოქროყანაში სასტიკად უსწორდებოდნენ, მაშინაც იცოდით, თქვენი შვილი რას აკეთებდა?

— გირგვლიანის საქმეზე სასამართლოს განაჩენს დაველოდოთ და შემდეგ ვისაუბროთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მეამაყება, რომ ჩემი შვილები ასეთ დღეში არიან. თუ სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვა დანაშაულია, დაე, ასე იყოს. ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ დღეს ჩემთვის ჩემი შვილები გმირები არიან. როგორი პიარიც უნდა აგვიგორონ და ხალხს გონება მოუწამლონ, მე და ჩემმა ოჯახმა ყველაფერი კარგად ვიცით. იმაშიც დარწმუნებული ვარ, ისტორია ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს!

გიორგი ვოლსკი: „კლიჩკოს, არჩევნებში გამარჯვების სხვაზე მეტი შანსი აქვს, თუმცა სააკაშვილის კონსულტანტად აყვანას ნამდვილად არ ვურჩევდი!“

ირუსუდან შელია
557-100-768

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას საგანგებო ფორმატში გამართული შეხვედრის შემდეგ, საზოგადოებაში განსაკუთრებული მოლოდინი გაჩნდა, თუმცა უკრაინის მოვლენების ფონზე, რა მიმართულებით გაგრძელდება ყველაზე დიდ პარტნიორ სახელმწიფოსთან ურთიერთობა, რატომ გამოცხადდა შავ ზღვაში განლაგებულ აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების გემებზე განგაში და გახდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მომავალი პრეზიდენტის კონსულტანტი, „ვერსიას“ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი ესაუბრა.

— საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის გამართულ საგანგებო შეხვედრაზე, პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებულ თანამშრომლობაზე იმსჯელეს. ვფიქრობ, ეს შეხვედრა შემდგომი ურთიერთობისთვის დიდ იმპულსს მოგვცემს, რადგან კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ არათუ განელდა, ბევრად გაიზარდა და, მომავალში, ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდება.

— ორი ქვეყნის მეთაურებს შორის საგანგებო ფორმატში გამართული შეხვედრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ხომ არ დააჩქარა?

— მოგეხსენებათ, ასეთი დონის შეხვედრები ორ-სამ დღეში არ მზადდება — ეს მთელი რიგი ღონისძიებებისა და მუშაობის შედეგია. ასე რომ, უკრაინაში განვითარებული მოვლენები აშშ-ში გამართული შეხვედრის მთავარი მიზეზი არ გამხდარა. აშშ-სთვის საქართველო კავკასიაში მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანაა და ასეთი მაღალი დონის შეხვედრაც პროცესების განვითარების გარკვეულმა ეტაპმა განაპირობა.

— ამ ფონზე, უკრაინაში განვითარებული მოვლენებიც შეაფასეთ, უკვე განსაზღვრულია, რა მიმართულებით გეგმავს ოფიციალური თბილისი ახალ უკრაინასთან თანამშრომლობას?

— პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებზე უნდა ვიფიქროთ და ახალ უკრაინასთან ვითანამშრომლოთ იმ პირობით, რომელიც ჩვენ გვაკმაყოფილებს — საერთო-ევროპული ინტეგრაციის პროცესების გაძლიერებასა და, ადრე თუ გვიან, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ვგულისხმობ, რასაც ევროპაცა და აშშ-ც მუდმივად გვკარნახობს. უკრაინაში ვადამდელი არჩევნების დანიშვნა აუცილებელია, რადგან იანუკოვიჩი თავს გადამდგარად თვლის თუ არა, ფაქტია, იგი დუმამ გადააყენა. ახლა საქართველოსთვის, როგორც უკრაინის მოკავშირე ქვეყნისთვის, უმნიშვნელოვანესია, ვინ ჩაუდგება სახელმწიფოს სათავეში ან ახალი ლიდერი რამდენად შეძლებს, რეალურად, დაშლის საფრთხის წინაშე მყოფი უკრაინის გაერთიანებას.

— ევრომაიდნის წარმატების ფონზე, უკრაინის აღმოსავლეთში პრორუსული მიტინგები იმართება და პუტინიც რუსი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვაზე საუბრობს. პარალელურად, შავ ზღვაში განლაგებულ აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების გემებზე განგაში გამოცხადდა. ამ ფონზე, უკრაინის დაშლის საფრთხეებზე რომ საუბრობთ, ომის დაწყების შესაძლებლობას გულისხმობთ?

— ომის დაწყება გამორიცხულია! სავარაუდოდ, შიდადაძაბულობა კულმინაციას მიაღწევს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ, ყველა მხარე შეთანხმდება, რომ მოლაპარაკების დაწყებას ალტერნატივა არ გააჩნია. ვფიქრობ, დაძაბული პროცესების დიალოგის ფორმატში გადასაყვანად სერიოზული ძალებიც ჩაერთვებიან.

— კი, მაგრამ რუსეთის პირველი პირების განცხადებების ფონზე, დიალოგზე საუბარი არარეალურად არ გეჩვენებათ?

— უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა ირანთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ახლახან დაიწყეს. არადა, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, არავინ იცოდა, „ნაღმი“ რა დროს აფეთქდებოდა. სირიაშიც მოლაპარაკების პროცესი უამრავი ადამიანის სისხლისღვრის შემდეგ დაიწყო, რადგან ამ შემთხვევაშიც ყველამ გაიაზრა, რომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს. შესაბამისად, იმისათვის, რომ უკრაინის დაშლის საფრთხე უფრო რეალური არ გახდეს, პუტინი იქნება თუ ვინმე სხვა, მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დაჯდეს. უკრაინაში დაძაბული ვითარება პუტინსაც არ აწყობს — ეს სახელმწიფო მისი მეზობელია და ევროპაში რუსული ბუნებრივი რესურსებიც სწორედ უკრაინისა და ბელორუსის გავლით გადის, თუმცა, მეორეს მხრივ, ისიც ფაქტია, რომ პუტინი მხარეა, რომელსაც ამ პროცესში დაძაბულობის კულმინაცია აწყობს, რათა თავისი პირობების დასაყენებლად მეტი შანსი გაუჩნდეს. მოსახლეობას დავიცავთ, ყირიმს არ დავთმობთ — რუსეთი მსგავსი განცხადებებით საკუთარი წესებით თამაშს შეეცდება, რადგან ვითარების დაძაბვა მისი სტილია.

— როგორ ფიქრობთ, რუსეთის „პირობებში“ ჩვენ მოვიაზრებით ან რა გავლენას მოახდენს უკრაინის სცენარი საქართველოზე?

— საქართველო ვალდებულია, მოვლენების ნებისმიერი სცენარით განვითარების შესაძლებლობის პროგნოზირება შეძლოს. სამწუხაროდ, საოკუპაციო მავთულხლართების გამო, რუსეთთან პოლიტიკური თუ დიპლომატიური ურთიერთობები ძალიან ვიწრო ჩარჩოშია მოქცეული, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, დაძაბულობის ესკალაცია თავიდან უნდა ავიცილოთ. თანაც, ეს მხოლოდ ქართულ-რუსული ურთიერთობების თემა არ არის, საქართველოში მშვიდი პოლიტიკური ვითარება, ზოგადად, რეგიონის სტაბილურობას ნიშნავს. საქართველოში სტაბილურობა კი აუცილებელია იმ ინვესტორებისთვისაც, რომლებიც ქვეყანაში ჩამოსასვლელად მზად არიან. ცოტა ხნის წინ, ევროკავშირში კონსულტაციები გაიმართა, სადაც საქართველოსა და რუსეთს, ორმხრივ ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, დიალოგისკენ მოუწოდეს. ითქვა ისიც, რომ თუ ორივე მხარე საჭიროდ ჩათვლის, სასურველია, პროცესში მათთვის მისაღები სახელმწიფო შუამავლის სტატუსით ჩართონ. ჯერჯერობით, ევროკავშირის მოწოდების შესასრულებლად მუშაობა არცერთი მხრიდან დაწყებულა. თანაც რუსეთთან დიალოგი რეალურად მეჩვენება თუ არა, ჩვენი სტრატეგია ასეთი უნდა იყოს. ფაქტია, საქართველოსა და რუსეთთან ურთიერთობა ძალიან დაძაბულია, ამაზე მეტი რა უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ იმ ჩიხიდან გამოსვლას ვცდილობთ, რომელშიც საქართველო მიხეილ სააკაშვილმა შეიყვანა.

— ისე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თუ უკრაინის მომავალი პრეზიდენტი ვიტალი კლიჩკო გახდა, მის კონსულტანტად მიხეილ სააკაშვილი დაინიშნება. ამ შემთხვევაში საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობა კითხვისნიშნის ქვეშ ხომ არ დადგება?

— კლიჩკოს სააკაშვილის კონსულტანტად დანიშვნას ნამდვილად არ ვურჩევდი, რადგან ამ ადამიანს მოღვაწეობის პერიოდში ერთი სწორი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს. თანაც სააკაშვილის სინდისზე 26 მაისის სისხლიანი დარბევაა. სხვათა შორის, დღემდე ვერ გავიგეთ, რა პოზიცია უკავია მიხეილ სააკაშვილს ფლეთჩერის უნივერსიტეტში. რეალურად, დეკანია თუ სხვა საქმიანობას ეწევა, არავინ იცის. ზოგადად, ვფიქრობ, დიდ პოლიტიკაში მიხეილ სააკაშვილის ადგილი არ არსებობს. ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებსგარეთ არსებული პრობლემები, სწორედ მისი სტრატეგიული ხედვების შედეგია. რაც შეეხება უკრაინის მომავალ ლიდერს, ვფიქრობ, არჩევნებში გამარჯვების შანსი ტიმოშენკოსა და იაცენიუკზე მეტი, კლიჩკოს აქვს, თუმცა სხვა პროგნოზს, ამ ეტაპზე, ვერ გავაკეთებ.

ფრთხილად, 1 მარტიდან ახალი ჯარიმები ამოქმედდება!

2014 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების გარეცხვა ზღვაში, ტბაში, წყალსაცავში, მდინარეში ან ზედაპირული წყლის სხვა ობიექტში, ანდა მის ნაპირთან წყლიდან 10 მეტრზე უფრო ახლო მანძილზე, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.

სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, აგრეთვე სპეციალური ციმციმა სიგნალისა და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს კონფისკაციას. სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებას.

B კატეგორიის ან A1 ან B1 ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მათ შორის, ტაქსით) ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა — გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. ამ სამართალდარღვევის მესამედ ჩადენა, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით.

სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას.

გზაზე მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

თუ აღნიშნულ სამართალდარღვევას მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით ან მართვის უფლების 2 წლით შეჩერებას.

სატრანსპორტო საშუალებით ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოების წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.

„ვერსიანიუსი“

„ერთად იარეთ, რომ ბოროტებამ არ გადაგჩეხოთ, ლოცვა მთებს ძრავს!“

ლაშა ცაიშვილი

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მრავალი მნათობი ჰყავს ზეციურ საქართველოში წმინდანთა სახით. რად ღირს მხოლოდ ასიათასი მოწამის გახსენება, როდესაც ერთ დღეში ამდენი ადამიანი ეწამა ქრისტესთვის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მსგავს მოვლენას მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ ჰქონია. ბოლო დროის დიდ სასულიერო მოღვაწეთა შორის კი განსაკუთრებული ადგილი აქვთ ბეთანიელ მამებს (გიორგი-იოანე მხეიძეს, იოანე მაისურაძეს) და გაბრიელ ურგებაძეს. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. რა თქმა უნდა, მათ გვერდით სხვა სულიერი მოღვაწეებიც იყვნენ, მაგრამ, ამჯერად, ყურადღებას მხოლოდ ამ სამ სასულიერო პირზე შევაჩერებთ, რადგან დღეს ჩვენი ერისა და ეკლესიის ისტორიაში ძალზედ სასიხარულო, უჩვეულო და განსაკუთრებულ მოვლენას აქვს ადგილი. ამ დღეებში (20-22 თებერვალს) გაიხსნა გიორგი-იოანე მხეიძის, იოანე მაისურაძისა და გაბრიელ ურგებაძის საფლავები. ვიდრე ამ წმინდანთა ცხოვრების, მათი სულიერი ერთობისა და იმის შესახებ ვისაუბრებდეთ, თუ რატომ მოხდა ამ სამი მოღვაწის საფლავთა გახსნა ერთ პერიოდში, მანამდე შევეხებით, ზოგადად, საფლავთა გახსნის ტრადიციას, თუ როგორ ხდება ეს სხვა ქვეყნებსა და ეკლესიებში და როგორ ხდებოდა ეს საქართველოში.

ათონის მთაზე, როდესაც ბერი გარდაიცვლება, მას სამი წლით კრძალავენ წმინდა მთაზე, შემდეგ ხსნიან საფლავს, ნახავენ, რა მდგომარეობაში დახვდებათ გარდაცვლილის სხეული და იმის მიხედვით უჩენენ შემდგომ განსასვენებელს. თუ ძვლები შავი ფერის დახვდათ, ეს ნიშნავს, რომ მისი სული ცოდვილია და ჯოჯოხეთში იმყოფება. თუ ძვლებს მოთეთრო ფერი გადაჰკრავს, მისი სული მართალთა შორისაა; ხოლო თუ ძვლებს ცვილის ან მოყვითალო ფერი აქვს, ეს მისი სულის წმინდანობას მიანიშნებს. არის მრავალი შემთხვევა, როდესაც გარდაცვლილი ბერის სხეული უხრწნელი ან მირონმდინარეა. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ გარდაცვლილის სხეულის უხრწნელობა ყოველთვის წმინდანობას არ ნიშნავს. მეტიც, ეს, შესაძლოა, გარდაცვლილის დიდ ცოდვილიანობაზე მიანიშნებდეს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ჩნდება ლოგიკური კითხვა: უხრწნელი სხეულის არსებობის შემთხვევაში, როგორ ხდება გარჩევა იმისა, თუ რომელი მიზეზითაა სხეული უხრწნელი — წმინდანობითა თუ ცოდვილიანობით.

ბიბლია ცოდვით დაცემულ ადამიანთა მოდგმასთან დაკავშირებით გვამცნობს უფლის განაჩენს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „მიწა ხარ და მიწად იქეც“ — ეს სიტყვები უნდა აღსრულდეს ყველა ადამიანზე. ამდენად, თუ სხეულის უხრწნელობა წმინდანობის მიზეზითაა გამოწვეული, მას აუცილებლად სხეულის რაღაც ნაწილი მაინც უნდა ჰქონდეს გახრწნილი (ზოგჯერ მცირედი ნაწილია გახრწნილი, ზოგჯერ დიდი, ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხეულის მხოლოდ მცირე ნაწილი ყოფილა უხრწნელი). ყოველივე ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ამ წმინდანის სხეულზე დაიწყო აღსრულება უფლის განაჩენმა მიწადქცევის შესახებ და ეს მცირე დოზით მაინც უნდა მომხდარიყო, ხოლო ამის შემდეგ სხეულის დანარჩენი ნაწილის უხრწნელად დარჩენა, კეთილსურნელების ქონა თუ მირონდენა, ეს უკვე განსაკუთრებული მადლისა და წმინდანობის მანიშნებელია. რაც შეეხება სრულიად უხრწნელ სხეულს, თუ ეს ისეთ გარემოში ხდება, სადაც ამგვარად არ უნდა ყოფილიყო, ნიშანია იმისა, რომ გარდაცვლილი ცოდვილი იყო და მის სხეულს მიწაც არ იღებს, ღვთის განაჩენის შესაბამისად. იმისთვის, რათა გარდაცვლილი ადამიანი მიჩნეულ ან შერაცხილ იქნას წმინდანად სრულიად არ გახლავთ აუცილებელი მისი სხეულის უხრწნელობა.

წმინდანობა განისაზღვრება მართალი სარწმუნოებით, ცხოვრების წესითა და სიცოცხლეში ან გარდაცვალების შემდგომ მომხდარი სასწაულებით. ყოველივე ამას შეისწავლის ეკლესიის მიერ დადგენილი კომისია და კანონიზაციისთვის საჭირო დასკვნები გადაეცემა წმინდა სინოდს, ხოლო, საბოლოოდ, სინოდი იღებს გადაწყვეტილებას და ახდენს ამა თუ იმ პიროვნების წმინდანთა დასში შერაცხვას.

ახლა, რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებას საფლავთა გახსნასთან. ჩვენთან ამგვარი ტრადიცია არ არსებობს და, ალბათ, ესეც ჩვენი მძიმე და რთული ისტორიული წარსულიდან გამომდინარეობს. ქართველი კაცისთვის მიცვალებული და მისი სამარე, ოდითგან, განსაკუთრებული პატივის მიგების ობიექტია. მას მთელი ისტორიის მანძილზე არა მხოლოდ საკუთარი თავისა და მოყვასის დასაცავად უწევდა ბრძოლა, არამედ წინაპართა საფლავებისთვისაც. ამდენად ჩვენ ერსა და ეკლესიას დიდ მოღვაწეთა საფლავთა გახსნისა და მათთვის კიდევ უფრო დიდი პატივის მიგების ნაცვლად, ზოგჯერ მათი სამარეების ადგილსამყოფელის გასაიდუმლოება უწევდა. რა თქმა უნდა, ბევრჯერ წინაპართა საფლავების დაკარგვის მიზეზი მხოლოდ ეს გარემოება არ ყოფილა და ამაში ჩვენი დაუდევრობაც იყო, მაგრამ, ზოგადად, ჩვენში საფლავთა გაუხსნელობის ტრადიციის დამკვიდრება სწორედ ამგვარი მოტივებით შეიძლება აიხსნას. დღეს ზოგიერთ ჩვენს მონასტერში არსებობს ბერთა საძვალეები, თუმცა მათი რაოდენობა ძალზე მცირეა.

ამ დღეებში მომხდარი რამოდენიმე წმინდანის საფლავის გახსნის ფაქტი ისტორიული მოვლენაა, რაც დაკავშირებულია ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებლისა და სალოსის დანაბარებთან. გაბრიელ ბერმა დაიბარა, რომ მისი გარდაცვალებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ უნდა გახსნილიყო მისი მოძღვრის ბეთანიელი მამის, გიორგი-იოანე მხეიძის საფლავი, ამის შემდგომ კი მისი. ასეთ დროს განსაკუთრებული მადლი გადმოდის ადამიანებსა და მთელ ერზე. ამდენად, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შერაცხა რა, მამა გაბრიელი წმინდანთა დასში, მიუხედავად საფლავთა გახსნის ტრადიციის არქონისა, აიღო ვალდებულება, წმინდანის დანაბარების განხორციელებისა.

დღემდე საფლავთა გახსნა შესაძლებელი იყო კონკრეტულ ადგილზე, მისი რეალურად არსებობა-არარსებობის შესწავლის თვალსაზრისით. ამჟამად განხორციელებული წმინდანთა საფლავების გახსნა მხოლოდ ერთჯერადი შემთხვევა იყო მხოლოდ წმინდანის დანაბარების აღსრულებით გამოწვეული, თუ ადამიანის წმინდანად შერაცხვის შემდგომ, მათი წმინდა ნაწილების საფლავთაგან აღმოყვანისა და შესაბამისი პატივის მიგების ტრადიცია ჩვენშიც დამკვიდრდება, ამას მომავალი გვიჩვენებს. მოგეხსენებათ, 20 თებერვალს დილიდან დაიწყო ბეთანიელი მამების — გიორგი-იოანე მხეიძისა და იოანე მაისურაძის სამარეთა გახსნა, რა დროსაც გასაოცარი სურნელება ტრიალებდა ირგვლივ.

მართალია, მამა გაბრიელის დანაბარების თანახმად, მხოლოდ მისი მოძღვრის საფლავი უნდა გახსნილიყო, მაგრამ ეკლესიამ მართებულად ჩათვალა, მამა გიორგი-იოანე მხეიძესთან ერთად, მამა იოანე მაისურაძის საფლავის გახსნაც. ამ ორ მოღვაწეს დიდი სულიერი ძმობა აკავშირებდა. მათ იმ მძვინვარე ათეიზმის ხანაში უწევდა ცხოვრება, როცა რიგით სასულიერო პირად დარჩენაც კი ხშირად შეუძლებელი იყო, მაგრამ მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, მათ შეძლეს, წმინდა და ღმერთშემოსილი მამები გამხდარიყვნენ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია, მათი ცხოვრებიდან ერთი შემთხვევის გახსენება.

დასასრული მე-6 გვერდზე



„ერთად იარეთ, რომ ბოროტებამ არ გადაგჩეხოთ, ლოცვა მთებს ძრავს!“

მე-5 გვერდიდან

როდესაც მამა იოანე მაისურაძე გარდაიცვალა, აღდგომის დღესასწაულზე ტაძრიდან გამოსული მამა გიორგი-იოანე მხეიძე მივიდა მის საფლავთან და ჩასძახა: „ქრისტე აღსდგა!“ და საფლავიდან მოისმა გარდაცვლილი მამა იოანეს ხმა: „ჭეშმარიტად!“

მამა გაბრიელიც ამ წმინდა ბერთა ღირსეული სულიერი შთამომავალი გახლდათ.

ისიც დაუღალავად იღვწოდა განღმრთობისთვის ისე, რომ არ შეშინებია კომუნისტური რეჟიმის სისასტიკისა. ყველასთვის კარგადაა ცნობილი მის მიერ ლენინის ორმეტრიანი სურათის დაწვის ფაქტი, რაც იმ პერიოდში წარმოუდგენელი და საბედისწერო საქციელი გახლდათ. თუმცა მას ქრისტესთვის მოწამეობა სწყუროდა, მაგრამ ღმერთმა არ ინება, რომ იგი იმ დროს სიკვდილით დასჯილიყო, ეს თავად ბერმაც იწინასწარმეტყველა თავის თავზე და მართლაც, უვნები გადარჩა.

მამა გაბრიელის მრავალ საიდუმლო ღვაწლთან ერთად, უფლისგან სალოსობის მადლი და კურთხევაც ჰქონდა. სალოსობა ნიშნავს საკუთარი სიწმინდის დაფარვას საზოგადოებისთვის მიუღებელი საქციელით, რა დროსაც ადამიანებს გიჟი, სულელი ან დიდი ცოდვილი ჰგონიხარ.

წმინდა მამათა ცხოვრებაში არის ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც ორმა სალოსმა ბერმა ერთმანეთს სხვადასხვა ნივთით დაუწყო ცემა, რაც არცთუ სასიამოვნო სანახავი იყო. სინამდვილეში, ამით ისინი ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ადამიანს აჩვენებდნენ, თუ რა ცუდია ჩხუბი და კონფლიქტი. ამასობაში კი, დაავიწყდათ თავისი სიწმინდის დაფარვა და ერთი-მეორის ცემისას მდინარეზე, როგორც ხმელეთზე, ისე გადაირბინეს, სწორედ აქ გამჟღავნდა მათი წმინდანობა.

მამა გაბრიელს სალოსობისთვის სულელი ლოთის სახე ჰქონდა შერჩეული, ხან ვითომ სასმელს სვამდა (სინამდვილეში, უმეტესწილად, მურაბიან წყალს იყენებდა), ხან კი, სულელივით ან დიდი ცოდვილივით იქცეოდა. იგი ამგვარ მეთოდებს განსაკუთრებით მაშინ მიმართავდა, როდესაც რაიმეს იწინასწარმეტყველებდა ან სასწაულს მოახდენდა, შემდეგ იმგვარად მოიქცეოდა ან იტყოდა რამეს, რომ კაცს ეჭვი შეეპარებოდა მის სიწმინდეში და მომხდარს არა მის მადლიან მდგომარეობას, არამედ შემთხვევითობასა თუ დამთხვევას მიაწერდა. თუმცა გარდაცვალების შემდეგ უფალმა მაინც არ დაფარა მისი სიწმინდე და ამიტომაც გაბრიელ ბერის საფლავზე უამრავი სასწაული და კურნება აღესრულა.

ბერის საფლავის გახსნა 21 თებერვალს ღამის ათ საათზე დაიწყო და დილამდე გასტანა. მქონდა შესაძლებლობა, საფლავიდან სამიოდე მეტრის სიახლოვეში დგომის, ალბათ, გადაუჭარბებელი იქნება, თუ ვიტყვი, რომ დილა თავზე ისე დაგვათენდა, გვეგონა, სულ რაღაც ერთი საათი ვიდექით ფეხზე. ამ ყველაფერთან ერთად, დიდ სიხარულს იწვევდა მამა გაბრიელისადმი სამხედროების მიერ გამოჩენილი უდიდესი მოწიწება და კრძალვა. ცხადი იყო, თავს ბედნიერად გრძნობდნენ, რადგან მიეცათ საშუალება, მონაწილენი ყოფილიყვნენ ამ დიდი სიხარულისა.

დაახლოებით, დღის 12 საათისთვის, ეპისკოპოსებმა და სამღვდელოებამ ბერის წმინდა ნაწილები ლუსკუმაში ჩაასვენეს, მონაზვნებმა კი სამთავროს ტაძარში გადასვენებისას, გაბრიელ ბერს იავნანა უმღერეს, რადგან იავნანა ძალიან უყვარდა მამა გაბრიელს და მონაზვნებს ხშირად სთხოვდა, ემღერათ.

ტაძარში ეპისკოპოსებმა და სამღვდელოებამ, მრევლთან ერთად, პარაკლისი გადაიხადა, შემდეგ კი ლუსკუმა, სადაც მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები იყო ჩაბრძანებული, სვეტიცხოველში გადააბრძანეს. მინდა, გულისტკივილით აღვნიშნო ზოგიერთი ჩვენი მანკიერებაც; სამთავროს ტაძრიდან გასვლისა და სვეტიცხოველში შესვლისას გარკვეული ჭიდილი იყო მომლოცველებს შორის, ხალხის ნაკადი ისე ძლიერად მოედინებოდა, რომ კინაღამ ბერის ლუსკუმა ეპისკოპოსებს ხელიდან გააგდებინეს და, ღამის, სხვადასხვა სახის უძლურებაში მყოფი ბავშვები გადათელეს, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა (ამ დროს დავფიქრდი ქრისტიანობის არსსა და ერის სულიერ მდგომარეობაზე). რა თქმა უნდა, არაფერია ცუდი იმაში, რომ ბერის წმიდა ნაწილების გაცილება ან მათზე ხელით შეხება გსურს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მიზანი არ ამართლებს საშუალებას“. ეკლესიაში ადამიანის გათელვით, როგორც რინგზე ყოფნისას ჭიდაობით, სიწმინდეებზე დაჯახებითა და მათი ღამის კედლებიდან ჩამოგდებით, არ ვიცი, ვის ჰგონია, რომ უფლის მადლს მიიღებს. იგივე დამოკიდებულება იყო საშობაოდ მამა გაბრიელის საფლავთან მოლოცვის მსურველებს შორის, როცა ადამიანები ერთმანეთზე გადადიოდნენ, რათა როგორმე ბერის საფლავს შეხებოდნენ.

ვფიქრობ, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო, 22 თებერვალს, განსაკუთრებული ზომების მიღება საპატრიარქოს მხრიდან, რითაც უზრუნველყოფილი იყო თითოეული მომლოცველის პირადი უსაფრთხოება. მართალია, ამას ზოგიერთის მხრიდან განსჯა და ხმაური მოჰყვა, მაგრამ მონასტრისგარეთ მდგარი ჭეშმარიტი მორწმუნენი მთელი ღამის განმავლობაში მდუმარედ და სასოებით ლოცულობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დიდ მადლობას ვწირავ ღმერთს, იქ ყოფნისათვის და მიმაჩნია, რომ, ზოგადად, ძალიან კარგია, თუ საერო და სასულიერო პირები, მსგავსი შემთხვევების დროს, ერთად ადიდებენ უფალს, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, მონასტრის ტერიტორიაზე საერო პირები საერთოდაც რომ არ ვყოფილიყავით და მხოლოდ სასულიერო პირებს აღესრულებინათ ეს დიდი საიდუმლო, რადგან, როგორც ჩანს, ამისთვის ჩვენი ერი ჯერ მზად არ არის

უნდა გვახსოვდეს, რომ წმინდა მამა დავით გარეჯელმა იერუსალიმი ვერ მოილოცა, რადგან თავი არ მიიჩნია ღირსად და ქალაქის შესასვლელიდან სამი ქვა წამოიღო ისეთი რწმენით, რომ მთელი იერუსალიმის მადლი გამოიყოლა, რაც იქაურებს გამოცხადებით ეუწყათ და მდევრებმა ორი ქვა უკან დააბრუნებინეს. იუდა კი რამოდენიმე წელი ქრისტეს გვერდით იმყოფებოდა, მაგრამ სული დაიღუპა.

ამდენად ქრისტიანობა, უპირველესად, შინაგანი მდგომარეობა, სიყვარული, რწმენა და თავმდაბლობაა. ალბათ, ეს იქნება მამა გაბრიელის უპირველესი სურვილი, რომ სულიერად გავძლიერდეთ და ჩვენც თავმდაბლობით ვცეთ თაყვანი ღმერთს, რომელსაც მამა გაბრიელი ბავშვობიდან ემსახურებოდა.

ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში გაუგონია მეზობლისგან ფრაზა „რა ქრისტესავით ჯვარს მაცვიო“, მაშინ პირველად დაინტერესებულა, ვინ იყო ქრისტე და უკვე ვიცით, რომ მთელი ცხოვრება ქრისტეს გზით იარა. მის წმინდა ნაწილებთან შეხებას დღეს მთელი საქართველო ცდილობს. როგორც უკვე ცნობილია, 22 თებერვალს, წმინდა ბერი სამთავროს დედათა მონასტრიდან სვეტიცხოველში გადააბრძანეს. ლუსკუმას ეპისკოპოსები და სამღვდელოება მიასვენებდნენ მგალობლებსა და მრევლთან ერთად; პროცესიას შინაგანი ჯარი მიაცილებდა. ისინი გზის მარჯვნივ და მარცხნივ იყვნენ განლაგებულნი და წმინდა ნაწილების მიახლოვებისას პატივისცემის ნიშნად ქუდს იხდიდნენ. მორწმუნე მრევლი კი ლოცვითა და გალობით ეგებებოდა პროცესიას.

24 თებერვალს მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები თბილისში სამების საკათედრო ტაძარში გადმოაბრძანეს, ღირს მამას ვარდების მოედნიდან ხალხმრავალი მსვლელობა გაჰყვა სამების ტაძრისკენ. ყოველივე ეს ნამდვილ ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულად გადაიქცა, ხარობს ერიცა და ბერიც და ეს დღესასწაული, ღვთის წყალობით, რამოდენიმე დღის განმავლობაში კვლავ გაგრძელდება. სამების ტაძარში, შესაძლებელია, 24 საათის განმავლობაში მიბრძანდეთ და მოილოცოთ ეს უდიდესი სიწმინდე. ყველაზე მთავარი კი, ალბათ, იმის გააზრებაა, რას ნიშნავს იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი. რაც საწინდარი იქნება ერის სულიერი გადარჩენისა და გაბრწყინებისა. შეგვეწიოს მთელ ერს ბეთანიელ მამათა და არქიმანდრიტი გაბრიელის, აღმსარებელისა და სალოსის ძალა, ლოცვა და მადლი, ამინ!

P.S. მოგეხსნებათ, მადლის მიღებას ყოველთვის თან ახლავს ბრძოლებიც, ალბათ, ამას უკავშირდება ბოლო დღეებში ატეხილი მითქმა-მოთქმა და მკვეთრად ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია, წმინდანთა სხეულების გახრწნილობა-უხრწნელობის შესახებ. ჩვენ დავუკავშირდით მღვდელ-მონაზონ კირიონსა (ონიანს) და სხვა სასულიერო პირებს, რომლებიც ორგანიზებას უწევდნენ საფლავთა გახსნას. მათი თქმით, მამა გაბრიელის ჭილოფის გახსნა ჯერ არ მომხდარა (24 თებერვლის 22 საათის ინფორმაციით), ამიტომ საბოლოო დასკვნა უცნობია. რაც შეეხება ბეთანიელ ბერებს, მამა გაბრიელის მოძღვარს, მამა გიორგი-იოანე მხეიძეს მარჯვენა მხარზე კანი უხრწნელად ჰქონდა შერჩენილი, თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სხეულის უხრწნელობა წმინდანობის ერთადერთი ნიშანი არ გახლავთ, ხოლო სანამ მამა გაბრიელის ჭილოფი ჯერ კიდევ არ გახსნილა, ამ საკითხებზე მსჯელობისას მეტი სიფრთხილეა საჭირო.

„სახელმწიფოს 8 მილიონი ლარი არ ემეტება იმისთვის, რომ ვეტერანი ზამთარში არ გაიყინოს“

ემერაბ ბერიძე
599-45-50-26

ვეტერანები საზოგადოების ის ფენაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მუდმივ მეთვალყურეობასა და თანადგომას მოითხოვს. თუნდაც იმისთვის, რომ მომავალ თაობას სამშობლოს დაცვისთვის მაგალითი და მოტივაცია ჰქონდეს. სამწუხაროდ, საქართველოში ეს აქსიომა ნაკლებად არის გააზრებული და გათვალისწინებული, რაზეც ამ სფეროში არსებული რთული მდგომარეობა მეტყველებს. არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე „ვერსია“ ვეტერანთა უფლებების დაცვის ასოციაცია „პატრიოტის“ დამფუძნებელს, თადარიგის პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილს ესაუბრება.

– ქალბატონო დოდო, რა მთავარი პრობლემების წინაშე დგას საქართველოს ვეტერანთა კორპუსი?

– ამ დღეებში, ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და 36 ყოფილი სამხედრო შენაერთის (თბილისი, ბატალიონი მონადირე დალის ხეობიდან, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ავღანელები...) მესამე კონფერენცია ჩავატარეთ. ვიმსჯელეთ უმწვავეს პრობლემებზე, რომლებიც ვეტერანებს აწუხებთ. იმით დავიწყოთ, რომ ვეტერანთა ორგანიზაციებიდან რამდენიმე პიროვნება არჩევნების გზით მიგვავლინეს სპეციალურ სამთავრობო კომისიაში, რომელიც ჯანდაცვის მინისტრ სერგეენკოს ხელმძღვანელობით მუშაობდა. კომისიამ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა, მერე არ ვიცით, გაუქმდა თუ ისევ ფუნქციონირებს. მის ფარგლებში რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა გვქონდა, ერთ-ერთი ვეტერანების სრულფასოვანი დაზღვევით უზრუნველყოფა იყო. ძალიან კარგია, რომ დღევანდელი დაზღვევა მაინც მოქმედებს, რადგან წინა ხელისუფლების დროს, საერთოდ არაფერი იყო. უამრავ ვეტერანს არანაირი დაზღვევა არ ჰქონია და მისი ერთადერთი შვება, ვეტერანთა ჰოსპიტალია იამანიძის ქუჩაზე. სამოქალაქო გმირები, ჩვენი ექიმები ამ რთულ და სპეციფიკურ კონტინგენტს მხოლოდ მზესუმზირის ფულის ფასად მკურნალობენ. კატასტროფულად ავარიული შენობაა. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაა, რომ ეს შენობა არანაირ რეაბილიტაციას არ ექვემდებარება და ვეტერანები შენობიდან სასწრაფოდ გასაყვანია.

ვფიქრობდით, სახელმწიფო გულისხმიერებას გამოიჩენდა, რომელიმე შენობას გაარემონტებდა და ვეტერანთა ჰოსპიტალს გადაეცემოდა, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა და არც სინათლე ჩანს გვირაბის ბოლოს. არადა, ეს დაწესებულება იყო და არის ერთადერთი შვება ვეტერანებისთვის.

ბრძოლის შედეგად იმას მაინც მივაღწიეთ, რომ ვეტერანების დაზღვევა ამოქმედდა, რომელიც ყველას არა, მაგრამ ძალიან ბევრი ძვირადღირებული ოპერაციის 100%–ით დაფინანსებას ითვალისწინებს. რაც შეეხება მთავარ, მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებსა და წამლებს, ამას დაზღვევა არ ითვალისწინებს და აქ კიდევ ძალიან სერიოზული პრობლემები გვაქვს. მოგეხსენებათ, სპეციფიკური კონტინგენტი ვართ, მრავალგზის დაჭრილები, კონტუზირებულები და თავის ტვინის ტომოგრაფიას, არანაირ მსგავს გამოკვლევას სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს. ასევე არანაირი ქრონიკული და ფსიქონევროლოგიური დაავადებები სადაზღვევო ჩამონათვალში არ ფიგურირებს. ვეტერანების დიდი ნაწილი დაავადებულია ჰეპატიტით, რაც შემდგომ მძიმე ფაზაში გადადის და ბიჭები იღუპებიან, არც ესაა გათვალისწინებული. დღესაც არ ვიცი, ამ ყველაფერს როგორ ახერხებდნენ ჰოსპიტალში მომუშავე გმირი ექიმები, იმის მიუხედავად, რომ ეს გამოკვლევები და წამლები ძალიან ძვირი ჯდება. ამ კონტინგენტს სწორედ ვეტერანთა ჰოსპიტალი მკურნალობდა, რომელსაც წელიწადში მხოლოდ 800 ათასი ლარის დაფინანსება აქვს და ამაში შედის როგორც კომუნალური გადასახადები, ასევე უმცირესი, სამარცხვინო ჯამაგირი ექიმებისა თუ მომსახურე პერსონალისთვის.

თავის დროზე, მიშა სააკაშვილმა 22-ლარიანი სუბსიდია აკადრა და ქართველი ვეტერანი ამით შეაფასა, არც დღევანდელ ხელისუფლებას გაუზრდია ეს თანხა. უფრო მეტიც, ვეტერანი თუ სამი თვე ამ 22 ლარს ვერ აიღებს, ეს თანხა კი არ უჩერდება, მთლიანად უქმდება. თუ კაცი პატიმრობიდან გამოვა, მერე სამთავრობო სუბსიდია აღარ აღუდგება. ასევე, 2009 წლის შემდეგ ვეტერანებად გატარებულებს, არც ეს 22 ლარი ენიშნებათ. ვინც უბრალოდ, მანამდე დარეგისტრირება ვერ მოასწრო, ეს თანხა მათთვისაც არ გამოიყოფა. და კიდევ, თუ ვინმე სამსახურს დაიწყებს და ვთქვათ, 120 ლარი ხელფასი ექნება, ვეტერანის 22 ლარსაც უუქმებენ ან, თუ გამორჩათ, მერე მაინც სთხოვენ, რომ თანხა უკან დააბრუნოს. ასეთი „წესები“ წინა ხელისუფლების პირობებში შემოიღეს და, სამწუხაროდ, დღესაც ასე გრძელდება.

ჩვენ არაერთი მცდელობა გვქონდა, შევხვედროდით ნოდარ ხადურს, ამ სამარცხვინო 22 ლარსა და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ვითხოვდით, ვეტერანებს საარსებო მინიმუმი 150 ლარი ჰქონოდათ და, პლუს, ხუთი ლარი მორალური ვეტერანობისთვის. თუ მუშაობას დაიწყებდა, 150 ლარი შეუწყდებოდა, მაგრამ მორალური 5 ლარი დარჩებოდა. ამაზე კი არა, საერთოდ უარი გვითხრეს — 22 ლარის მომატებასაც ბიუჯეტი ვერ აიტანსო. ფინანსთა მინისტრმა არ ინება და არ გამოძებნა დრო ვეტერანებთან შესახვედრად ალბათ იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა. როდესაც ამ ადამიანებს უზარმაზარი ხელფასები და პრემიები აქვთ, რა უნდა უთხრან ვეტერანს, რომელმაც 22 ლარით დენის, გაზის გადასახადები უნდა იხადოს, ოჯახი არჩინოს; როცა პარლამენტის თავმჯდომარემ ოთხჯერ გამონახა დრო, რომ შეგვხვედროდა; აქედანაც ჩანს, ვის რა დამოკიდებულება აქვს ვეტერანების მიმართ.

მამუკა ქაცარავას სამსახური რომ არ არსებობდეს, შვიდ ათეულამდე ვეტერანი დღეს ცოცხალი არ იქნებოდა, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ. მხარში გვიდგას დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე და უმრავლესობა. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ასევე ნაომარი გია თვალავაძე ვეტერანებისთვის კომპეტენციის ფარგლებში არაფერს იშურებს, ასევე გვერდში გვიდგას ივა ჭყონია ძველი თბილისის გამგეობიდან, არ შეიძლება ამ ადამიანების გვერდში დგომა დაუნახავი დარჩეს.

– თქვენ სხვა რა ნაბიჯებს დგამთ ამ პრობლემების მოსაგვარებლად და რა შედეგებს იღებთ?

– ვეტერანთა უფლებების დაცვის ასოციაცია პატრიოტმა, ყველა დარგობრივ ორგანიზაციასა და სამხედრო შენაერთთან ერთად, ვეტერანების შესახებ კანონის პროექტი დავდეთ. არ არსებობს ასეთი სრულყოფილი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ვეტერანების საკადრის მდგომარეობას უზრუნველყოფს; სხვადასხვა გადაწყვეტილებები და განკარგულებები არის გაბნეული ამ სფეროში. ეს პროექტი შევაჯერეთ, მოვიწვიეთ კონფერენცია, სადაც მთავრობის წევრებთან ერთად კონკრეტული პუნქტები გავიარეთ. დღემდე ვითხოვთ, ინვალიდობის დამდგენი კომისიის შექმნას, რომელიც სამხედრო ჰოსპიტლის ექიმების ბაზაზე ჩამოყალიბდება. ბევრი საკითხი გადასაწყვეტია და ამ დროს, კომისია საერთოდ არ არსებობს.

– კონფერენციაზე თქვენთან რომ მოვიდნენ, მთავრობის წევრების პოზიცია როგორი იყო?

– ყველა დაგვეთანხმა, რომ აუცილებელია ყველაფრის ხორცშესხმა, რაც ამ პროექტში წერია; რომ საარსებო წყაროს არმქონე ვეტერანს, სასიცოცხლო მინიმუმი უნდა ჰქონდეს. პლუს, 5 ლარი, მორალური ვეტერანობისთვის. როგორც გითხარით, რამდენჯერმე შევხვდით პარლამენტის თავმჯდომარეს, ჩვენ მიერ შემუშავებული წინადადებები გადავეცით, დაგვეთანხმა, რომ მართლა მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით. პროექტი პარლამენტშიც შევიტანთ განხილვისთვის, თითქოს ლობისტთა ჯგუფიც გამოიყო, მაგრამ, ჯერჯერობით, ძვრა არ არის.

– მაინც რა გამოხმაურება მოჰყვა საკანონმდებლო ორგანოში თქვენს წინადადებებს?

– პარლამენტის თავმჯდომარემ გვირჩია, რომ, რადგან ვეტერანებისთვის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის საკითხი არც განიხილება, იქნებ ოპტიმალური სუბსიდიის სახით, გაზისა და დენის თანხა გამოითვალოს, რაც ვეტერანებისთვის მნიშვნელოვანია და საკითხი ამ ფორმით წარდგენილიყო. ჩვენ ეს შევიმუშავეთ – საჭირო იყო 56 ლარი ჩვეულებრივ ვეტერანზე და 64 ინვალიდზე. ეს ინფორმაცია პარლამენტს მივაწოდეთ, შესაბამის კომისიას, რომ მათხოვრული 22 ლარი აქამდე მაინც გაზრდილიყო, მაგრამ პასუხი მოგვივიდა, რომ ამისთვისაც საშუალება არ არის – ვიმსჯელეთ, გამოვთვალეთ და ბიუჯეტს წელიწადში 8 მილიონი ლარი დაუჯდება ვეტერანებისთვის სუბსიდიის 54 ლარამდე გაზრდა, ხაზინას თანხა არ გააჩნიაო. 8 მილიონი ლარი სახელმწიფოს არ ემეტება იმისთვის, რემ ვეტერანები ზამთარში არ გაიყინონ. ძალიან ბევრი ვეტერანი ვიცით, რომლებიც ზამთარში საწოლიდან ვერ დგებიან, რადგან ამ შემთხვევაში, უნდა ჩართონ შუქი და გაზი და ამას 22 ლარი ვერაფრით გაწვდება.

ძალიან კარგია, რომ ომში დაღუპულთა ოჯახებს 2014 წლიდან 500 ლარი დაენიშნათ, 2015 წლიდან ეს თანხა ათასამდე გაიზრდება, თუმცა ამ დახმარებას იღებს მეუღლე, დედა ან მამა. ბევრს ცოლი და მშობლები არ ჰყავს და ამ შეღავათს ვერავინ მიიღებს. ვითხოვთ, რომ ვისაც (ომში დაღუპულს) სრულწლოვანი შვილი ჰყავს, კომპენსაციის სახით სახელმწიფომ ერთჯერადად მაინც თანხა გამოუყოს.

– რას აკეთებს ამ დროს ვეტერანთა დეპარტამენტი?

– სახელმწიფო ქვეკომისიაში მუშაობისას ვეტერანებმა დავდეთ პროექტი, რომლის მიხედვითაც ვეტერანთა დეპარტამენტი სსიპ–ად უნდა გადაკეთებულიყო. თუნდაც იმიტომ, რომ დეპარტამენტს პატრონი არასოდეს ჰყავდა, ხან ერთ სამინისტროს მიაკუთვნებდნენ, ხანაც მეორეს, გენერალური შტაბის შემადგენლობაშიც იყო. კარგია, რომ საკითხი დადებითად გადაწყდა და დეპარტამენტი ახლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

დეპარტამენტის ხელმძღვანელს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. თავმჯდომარედ 34 წლის გიორგი ფერაძე დანიშნეს, რომელიც ვეტერანი არ არის. ახლოს გავეცნობით ამ ადამიანს, მოვისმენთ, როგორ აპირებს ამ ურთულეს და ძალიან სპეციფიკურ კონტინგენტთან მუშაობას. სხვათა შორის, ბოლო კონფერენციაზე ბუნებრივად დაისვა კითხვა — 80 ათას ვეტერანში ნუთუ ერთი ვერ გამოიძებნა ისეთი ნაომარი, რომელიც დეპარტამენტს უხელმძღვანელებდა, ვისაც სანგარი, ტყვია და ტკივილი გამოვლილი აქვს. თუმცა ჩვენ მოვისმინეთ მის მოსაზრებებს და მზად ვართ, თანამშრომლობის ხელი გავუწოდოთ. იმედია, თუნდაც მცირე ბიუჯეტით კარგი საქმეები გაკეთდება, რადგან აქამდე, დეპარტამენტს საკუთარი ბიუჯეტი საერთოდ არ ჰქონდა. ვეტერანების მიმართ სათანადო ყურადღება თუნდაც იმისთვისაა აუცილებელი, რომ მომავალ თაობას ჰქონდეს მოტივაცია, იბრძოლოს საკუთარი ქვეყნისთვის.

ჩვენ გამოუსწორებელი ოპტიმისტები ვართ და თუნდაც ერთი ვეტერანი რომ დარჩეს ამ ქვეყანაში, მზად იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის თავის დასადებად და კიდევ, ვეტერანთა ბოლო კონფერენციაზე ის უკრაინელები გავიხსენეთ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ, 7 უკრაინელი დაიღუპა ამ უთანასწორო ომში. გმირთა მოედანზე უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი აქცია ჩავატარეთ. დღეს გმირი უკრაინელები კრემლის საცეცების წინააღმდეგ და საკუთარი დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან და მათ სრულ თანადგომას ვუცხადებთ.

ვერსიანიუსი

მიხეილ სააკაშვილი: „მზად უნდა ვიყოთ რუსეთის იმპერიის დაშლისთვის!“

„საქართველოში ძალიან ბევრს გაუჩნდა ილუზია, თითქოს, რუსეთი ისეთი უძლეველია, რომ ბაბაიას ძახილის გარეშე, დათვთან ვერაფერს გააწყობ“, — ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა კიევში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.

„დაუძახეს ამათ ბაბაია? როგორ დაუდგნენ დათვს. რა თქმა უნდა, რუსეთი იყო, რა თქმა უნდა, რუსებმა გააკეთეს ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, 2 მილიარდი დოლარი მისცეს იანუკოვიჩს, რომ ეს გაეკეთებინა. ხომ ხედავთ, ახლა სად არის რუსეთი — სრულ გაურკვევლობაშია იმიტომ, რომ სრული მარცხი მოუვიდა უკრაინაში. ეს არის ის, რასაც მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ — ეს იმპერია დამარცხდება და დაიშლება. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად მისი დაშლისთვის და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავყვეთ მას საფლავში“, — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს ექსპრეზიდენტის განცხადებით, რუსეთი შეეცდება ყირიმში ისეთივე სცენარი განავითაროს, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალშია, თუმცა სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ეს არ გამოუვა.

„ხომ ხედავთ, რა ხალხია — თქვენ გგონიათ, ისინი ამ გამარჯვებას დაუთმობენ ვინმეს?! დაიხოცებიან, მაგრამ დარჩებიან თავისუფლები, თუმცა, ვერც დახოცავენ იმიტომ, რომ მაგრები არიან“, — განაცხადა სააკაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

უკრაინის გაქცეული პრეზიდენტის კრიმინალური წარსული

სილაფაკეში გაზრდილი ვიქტორ იანუკოვიჩის „მოოქროვილი რეზიდენცია“ და პრეზიდენტობის საბედისწერო 4 წელი

„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ“, — დღეს ეს ფრაზა, ალბათ, ყველაზე მეტად შეესაბამება უკრაინელების განწყობას. 2014 წლის 25 მაისს, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე უკრაინა ახალ პრეზიდენტს აირჩევს, უფლებაშეწყვეტილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი კი, ქვეყნიდან გაიქცა. გავრცელებული ინფორმაციით, მას სხვადასხვა ქვეყნის პირველმა პირებმა, თავშესაფრის მიცემაზე უარი განუცხადეს და საბოლოოდ, კვლავ მეგობარმა პუტინმა შეიფარა. მისი რუსეთში გაქცევის ამბავი, ისეთივე ვერსიაა, როგორიც ის, თითქოს, ქვეყნის დატოვება ვერ შეძლო და დააპატიმრეს. დაპატიმრების ფაქტს, არ ადასტურებენ უკრაინელი სამართალდამცავები; ითქვა ისიც, თითქოს, იანუკოვიჩი უკრაინაში, რუსული ეპარქიის დაქვემდებარებაში მყოფ ერთ-ერთ ტაძარში აფარებს თავს. ამბობენ, რომ ქვეყნიდან გაიქცნენ მისი ოჯახის წევრები — მეუღლე, ლუდმილა ალექსანდროვნა, რომელიც თითქმის 40 წელია, ცალკე ცხოვრობს და შვილები ოჯახებით: ბიზნესმენი, პროფესიით სტომატოლოგი ალექსანდრე და ორგზის დეპუტატი ვიქტორი. ფაქტია, პრეზიდენტობის 4-წლიან ვადაში იანუკოვიჩმა მოახერხა, საკუთარი ხალხის მტრად ქცეულიყო. „ეს სახელმწიფო გადატრიალებაა“, — განაცხადა იანუკოვიჩმა მას შემდეგ, რაც რადამ უფლებამოსილება შეუწყვიტა. იმას, რასაც იანუკოვიჩი სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს, „უკრაინელების გმირობად“ აფასებენ საერთაშორისო ექსპერტები. ტრაგედიას კი, რომელიც იანუკოვიჩმა, „ბერკუტთან“ ერთად, ევრომაიდანზე ამ გმირ ხალხს მოუწყო, სახელს ისტორია დაარქმევს. ისტორია ალბათ იმ მიზეზსაც იპოვის, რის გამოც, გაჭირვებაში გაზრდილი იანუკოვიჩი, უკრაინელებს ასე მოექცა: 22 თებერვალს, ხალხმა პრეზიდენტის მეჟიგორიეს რეზიდენცია დაათვალიერა და ბევრი რამ გახდა ნათელი: რა გასაკვირია, რომ უზარმაზარ, მოოქროვილგალავნიან სასახლეში, სადაც მოაჯირები და კედლებიც მოოქროვილია და 100-ათასდოლარიანი ჭაღი კიდია, ადამიანი რეალობას მოწყდეს? რა გასაკვირია, ეზოში, სადაც რომაულ სტილში ქანდაკებები გხვდება, ზოოპარკი, მოედნები და ულამაზესი ორანჟერეა გაქვს, არ გაგახსენდეს, რომ ბავშვობაში თბილი პური გენატრებოდა და შენ ქვეყანაში მსგავსი პრობლემა დღესაც ბევრს აქვს? ან ის რა გასაკვირია, ქვეყნის პირველმა პირმა, მოოქროვილ აბაზანაში ოქროს უნიტაზზე დაჯდომის შემდეგ, ვეღარ გაუგოს ხალხს, რომელმაც „ოქროს ბორკილებს“ თავისუფლება და დემოკრატია არჩია.

კრიმინალური წარსული თუ „ახალგაზრდული შეცდომები“

ვიქტორ იანუკოვიჩი დონეცკის ოლქის სოფელ ჟუკოვკაში დაიბადა 1950 წლის 9 ივლისს, მუშის ოჯახში. მამა, ბელორუსი პროლეტარი, მემანქანე იყო, ხოლო დედა, წარმოშობით უკრაინელი ძიძა. მშობლები ადრეულ ასაკშივე დაკარგა. ყმაწვილ ვიქტორს ბებია ზრდიდა. მოგვიანებით, უკვე პოლიტიკაში ფეხშედგმული იანუკოვიჩი თავის ბავშვობას ამგვარად გაიხსენებს: **„ბავშვობა იყო ძალიან მძიმე. ყოველდღე თავის გადასარჩენად ბრძოლა მიხდებოდა... რადგან ძალიან ღარიბ ოჯახში გავიზარდე, ჩემი მთავარი ოცნება უკრაინაში სიღარიბის დაძლევაა“.**

„ყოველდღე ბრძოლა თავის გადასარჩენად“, – ამ ბრძოლის ველმა ორჯერ მიიყვანა ციხემდე. 1967 წელს ქურდობისთვის 3 წელი მიუსაჯეს, თუმცა კარგი ყოფაქცევისთვის, სახლში 7 თვეში დაბრუნდა. მალე, სამართალდამცავებთან კვლავ შეექმნა პრობლემები — 1970 წელს ყაჩაღობისთვის დააკავეს. გისოსებსმიღმა 2 წელი გაატარა. ციხიდან გამოსვლის შემდეგაც არ უთქვამს უარი კრიმინალებთან ურთიერთობაზე, მეტიც — კრიმინალური დაჯგუფება „პიდნოვკას“ აქტიური წევრი გახლდათ. წლების შემდეგ, იანუკოვიჩმა თავის კრიმინალურ წარსულს „ახალგაზრდული შეცდომები“ უწოდა და შეეცადა, ბიოგრაფიიდან ეს შავი ლაქა გაექრო — 1978 წლის 27 დეკემბერს დონეცკის რეგიონულმა სასამართლომ ნასამართლეობის სტატუსი მოუხსნა. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უკრაინის შსს-მ დონეცკის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოძიება დაიწყო, მაგრამ საქმეში უკანონო ვერაფერი აღმოაჩინა.

თუმცა, იმავე 2004 წლის ოქტომბერში, უკრაინის სასამართლოში, მოქალაქე ჰიმოლჩენკომ, იანუკოვიჩის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და მას ბრალი ქალის გაუპატიურებაში დასდო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურმა ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, სადაც იანუკოვიჩი ბრალდებას უარყოფდა და ამტკიცებდა, გოგონა, პირიქით, ქუჩის კრიმინალებისგან დავიცავიო. ქურდობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება — იანუკოვიჩის ბრალდებები, მოგვიანებით, „თანამდებობრივი აღმასვლის“ პროპორციულად „იხვეწებოდა“ — უკვე 2006 წელს, მას ბრალი დოკუმენტების გაყალბებაში დასდეს.

დაბალინტელექტიანი მეშახტე-პროფესორის კარიერის დასაწყისი

იანუკოვიჩი მაღალი განათლებით არ გამოირჩევა. 1980 წელს დაამთავრა დონეცკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. ხოლო 2001 წელს ჩააბარა უკრაინის საგარეო ვაჭრობის აკადემიაში, საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტზე. აკადემიაში მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იანუკოვიჩის განათლების დონეს ბევრი ეჭვის თვალით უყურებს — მას უკრაინულად გამართული საუბარიც უჭირს და სერიოზულ საკითხებზე რუსულად ლაპარაკობს. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს უკრაინის საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იანუკოვიჩის 90-სიტყვიან ბიოგრაფიაში 12 სერიოზული გრამატიკული შეცდომა აღმოაჩინეს. ხარისხის — „პროფესორის“ მითითებისას კი, ეს სიტყვა, ასევე შეცდომით, ორი „ფ“ ასოთი დაწერა, რამაც მაშინ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და რაც იმის საფუძველი გახდა, საზოგადოება, ზოგადად, მისი დაბალი „არაბრწყინვალე ინტელექტის“ შესახებაც ალაპარაკებულიყო. ამ პერიოდში გაჩნდა უკრაინაში ბოროტი ხუმრობა — იანუკოვიჩს, როგორც რიგით მეშახტეს, ხშირად ერთმანეთში ერევა ავსტრია და ავსტრალია.

დაბალ ინტელექტუალურ კოეფიციენტს ბევრი პოლიტიკოსისთვის არ შეუშლია ხელი კარიერულ წინსვლაში. გამონაკლისი არც იანუკოვიჩი აღმოჩნდა.

მისი კარიერა 1969 წლიდან იწყება — ენაკიევის მეტალურგიულ ქარხანაში ავტოშემკეთებლად და მექანიკოსად მუშაობდა. შემდეგ, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია და 20 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელ თანამდებობებსაც იკავებდა. დონეცკის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯერ მოადგილედ, ერთ თვეში კი — პირველ მოადგილედ დაინიშნა. 1997 წლის მაისიდან 2002 წლის ნოემბრამდე მუშაობდა გუბერნატორის თანამდებობაზე. იყო დონეცკის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი. 2002 წლის 21 ნოემბრიდან პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელის პოსტისთვის სწორედ იანუკოვიჩის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი და პრემიერ-მინისტრად დანიშნა. 2003 წლის აპრილში დონეცკის ექსგუბერნატორი რეგიონების პარტიის თავმჯდომარედ მოგვევლინა. მომდევნო წლის ივნისში, თანაპარტიელებმა პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს.

პირველი მარცხი, ტაიმ-აუტი და მეორე ბრძოლა პრეზიდენტობისთვის

2004 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში კრახი განიცადა. ამის შემდეგ წელიწადნახევარი, პოლიტიკური ტაიმ-აუტი აიღო.

პოლიტოლოგები ალაპარაკდნენ, რომ პარტიის ლიდერის პოსტსაც დატოვებდა და ზოგადად, მისი პოლიტიკური კარიერაც დასრულდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. გააქტიურებაში ხელი „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მთავარ შემოქმედებს, პრემიერ იულია ტიმოშენკოსა და პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს შორის გაუთავებელმა ქიშპობამ შეუწყო, თუმცა ამბობენ, „ფეხზე წამოდგომაში“ იანუკოვიჩს მეგობარი პუტინიც დაეხმარაო. რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა იანუკოვიჩისა და მისი თანამებრძოლებისგან არავის გაკვირვებია — რეგიონების პარტიის ძირითადი ელექტორატი აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში მცხოვრები რუსი მოქალაქეები არიან. პარტიის უმთავრესი მოთხოვნაც მათი უფლებების დაცვაა. 2005 წელს რუსეთის მმართველ პარტიას „ედინაია როსიასა“ და რეგიონების პარტიას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებაც გაფორმდა.

2006 წლის გაზაფხულზე რეგიონების პარტიამ იანუკოვიჩის ხელმძღვანელობით უკრაინის რადას ზედა პალატაში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა და სოციალისტებთან და კომპარტიასთან ერთად საპარლამენტო უმრავლესობა – „ანტიკრიზისული კოალიცია“ შექმნა. ამავე წლის აგვისტოდან, უკვე მეორედ, ქვეყნის პრემიერია. იანუკოვიჩმა და ანტიკრიზისულმა კოალიციამ მთავარ საქმედ პრეზიდენტ იუშჩენკოზე აქტიური თავდასხმა აირჩია. ცდილობდნენ, მისთვის უფლებამოსილებები ჩამოერთმიათ. საბოლოოდ, სახელმწიფოს მეთაური იძულებული გახდა გამოეცა რამდენიმე ბრძანებულება მეხუთე მოწვევის რადას უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოწვევის შესახებ. ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა კიევში. მძიმე დაპირისპირებისა და რიგი რთული მოლაპარაკებების შემდეგ კონფლიქტის მხარეებმა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2007 წლის 30 სექტემბერი გამოაცხადეს. რეგიონების პარტიამ ვერ შეძლო რადაში უმრავლესობის შექმნა, რადგან ტიმოშენკოსა და იუშჩენკოს პარტიები გაერთიანდნენ. პოლიტოლოგების თქმით, სწორედ ამ პერიოდიდან ამზადებს იანუკოვიჩი ნიადაგს მთავარი მიზნის — პრეზიდენტის პოსტის დაუფლების მისაღწევად.

2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, იანუკოვიჩის საარჩევნო პროგრამის ძირითადი ნაწილი სოციალურ საკითხებს დაეთმო. პროგრამაში აქცენტი კეთდება უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევაზე. იანუკოვიჩი უკრაინელ ხალხს პირდებოდა, რომ 2019 წლისთვის უკრაინის ეკონომიკა გაუტოლდებოდა დიდი ოცეულის ქვეყნების ეკონომიკას. იგი უკრაინელებს იმედს აძლევდა, რომ ქვეყანა ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო და შენგენის ზონებში ჩაერთვებოდა, მაგრამ, ამბობდა იმასაც, რომ „საგარეო კურსის შეუცვლელად ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება შეუძლებელია“. ამ ფრაზის შემდეგ, რუსეთისთვის გაკეთებული რევერანსები უკრაინელ ხალხს იმთავითვე არ მოსწონდა. არც ის, რომ მის საარჩევნო პროგრამაში ეწერა, უკრაინის მეორე სახელმწიფო ენა აუცილებლად უნდა გახდესო რუსული. საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: 1932-33 წლებში უკრაინაში მომხდარი კატასტროფა, „დიდი შიმშილი“, რომელმაც ასეულობით ათასი უკრაინელის სიცოცხლე იმსხვერპლა. 2008 წელს 19-მა ქვეყანამ ეს „შიმშილი“ საბჭოთა კავშირის მხრიდან უკრაინელთა გენოციდად აღიარა. ევროპის პარლამენტმა საგანგებო რეზოლუციით „დიდი შიმშილი“ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად ცნო. იანუკოვიჩი კი არ იზიარებს გენოციდის მოწყობას და არჩევნების წინ აცხადებდა: „იგი ჩვენ მიერ გენოციდად არასდროს შეფასდება, ამიტომ უკრაინის რომელიმე მეზობლის დადანაშაულება უსამართლო იქნება“. ამ ფონზე, ვიღას გაუკვირდებოდა, რომ იანუკოვიჩის საარჩევნო კამპანია ძლიერი ფინანსური მხარდაჭერით წარიმართა, „რუსეთის კაცის“ იარლიყის მოშორება კი, მან ვერ შეძლო.

ვერც საქართველოსთან მეგობრობის გაგრძელება შეძლო. არც უცდია, რადგან ჩვენი ქვეყნის მიმართ მისი დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითი იყო. ამის მაგალითად, აგვისტოს ომის შემდეგ გაკეთებული მისი ერთი განცხადებაც კმარა: „უკრაინამ უნდა გაიზიაროს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხების ნება და აღიაროს მათი დამოუკიდებლობა“.

შეიძლება რუსეთის მხარდაჭერის დამსახურებაც იყო, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, სადაც ერთმანეთს ვიქტორ იანუკოვიჩი და იულია ტიმოშენკო დაუპირისპირდნენ. საერთაშორისო ექსპერტებმა ამ ორთაბრძოლას „უკრაინაში დასავლეთისა და რუსეთის შერკინება“ უწოდეს.

მეორე ტურში იანუკოვიჩმა ხმების 48,95% მიიღო და უკრაინის პრეზიდენტი გახდა.

პრეზიდენტობის საბედისწერო 4 წელი

ინაუგურაციის ცერემონია 2010 წლის 15 თებერვალს გაიმართა. პირველი ბრძანება, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სამუშაო ადგილებისა და შესაბამისად, ხარჯების, 20%-ით შეკვეცას ეხებოდა. ერთი შეხედვით, კორუფციის წინააღმდეგაც დაიწყო ბრძოლა, მაგრამ კორუფცია ვერ (თუ არ) აღმოფხვრა. ერთი წლის თავზე, განაცხადა, რომ ეკონომიკური რეფორმებით არაა კმაყოფილი, რის გამოც, დაპირებების შესრულებას ვერ ახერხებს. ოპონენტების მტკიცებით, ვიქტორ იანუკოვიჩის საშინაო პოლიტიკა მთლიანად იყო მიმართული ქვეყანაში ავტოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბებისკენ. პრეზიდენტობის პირველივე დღეებში მმართველი კოალიცია დაიშალა — მან რადაში საჭირო მანდატების რაოდენობა ვერ მოიპოვა. რამდენიმე დღეში, უმაღლესმა რადამ, იულია ტიმოშენკოს მთავრობა გადააყენა. უკვე მარტის დასაწყისში, შეიქმნა საპარლამენტო კოალიცია „სტაბილურობა და რეფორმები“ და იმავე დღეს დაინიშნა ახალი მინისტრთა კაბინეტი. შეცვალა გუბერნატორები და უმაღლესი თანამდებობის პირები.

დასასრული მე-9 გვერდზე

ალექსანდრე ანქვაბი: „კიევის პროტესტი საზიზღრობაა“

შტეფენ დოგერტი, Zeit

ZEIT ONLINE

აჯანყება უკრაინაში ხალხს დააზარალებს, — ამბობს აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ალექსანდრე ანქვაბი გვიხსნის, როდის უნდა იზეიმონ რუსეთის მეზობლებმა. სოჭის ოლიმპიური სოფლიდან აფხაზეთის საზღვრამდე ტაქსით ათი წუთის სავალია, საზღვრიდან აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმამდე კი, 100 კილომეტრი. რუსეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე შავიზღვისპირა ქვეყანაში, დაახლოებით, 240.000 ადამიანი ცხოვრობს. აფხაზეთი ისევე, როგორც ცხინვალის რეგიონი, 1990-იანი წლებისა და 2008 წლის ომების შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ და ტუვალუმ აღიარეს. საქართველოსთვის ეს რეგიონები ოკუპირებულია, რუსეთს იქ სამხედრო ბაზები ჰყავს განთავსებული. 2011 წლის შემდეგ აფხაზეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბია, მანამდე, 2005-2009 წლებში, იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო. ანქვაბი 6 ტერაქტს გადაურჩა. ეს ინტერვიუ 2014 წლის 14 თებერვალს, კიევში ძალადობის ახალი ტალღის გაჩაღებამდე ჩავწერეთ.

— **ბატონო პრეზიდენტო, როგორ მოგეწონათ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი?**

— გრანდიოზული იყო, ნამდვილად გრანდიოზული!

— **მაშინ, როდესაც ოლიმპიური თამაშები თქვენთან ასე ახლოს ტარდება, ალბათ, ძალიან გესიამოვნებოდათ, თამაშების მონაწილეებად აფხაზი სპორტსმენებიც გეხილათ.**

— (ხმამაღლა იცინის) ცხადია, თუმცა ჩვენი ზამთრის სპორტული სახეობების სპორტსმენები ჯერ ასე კარგად მომზადებულნი არ არიან. სერიოზულად რომ გიპასუხოთ: პრობლემა თქვენს ქვეყანაშია, არ აღიარებთ ჩვენს დამოუკიდებლობას, ამიტომ ჩვენი სპორტსმენები ვერ მონაწილეობენ ოლიმპიადაში. შეიძლება, მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ვითარება შეიცვალოს, ჩვენ ხომ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. თუ ნებას დაგვრთავენ, ჩვენი სპორტსმენები მზად არიან.

— **ამჟამინდელ თამაშებზე საუბრისას, ხშირად ჩივიან გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე, ბევრ გაფლანგულ ფულზე, უსაფრთხოების ზღვარგადასულ ზომებზე.**

— ამ ოლიმპიური თამაშებისთვის რუსეთმა 7 წელიწადში გააკეთა ის, რასაც ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ შეძლებდა. ვამაყობ ამ მიღწევით.

— **და ამ თამაშების კრიტიკას რაც შეეხება?**

— იცით, რა, ვისაც გაკრიტიკება სურს, ის ამისთვის საფუძველს ყოველთვის იპოვის. ასეა ყველაფერში და, მათ შორის, ამ თამაშებთან დაკავშირებითაც.

— **როგორ შეცვალეს თამაშებმა თქვენი ქვეყანა, მანქანით რუსეთში ვეღარ გადადიხართ?**

— სამზადისი და თავად თამაშები ჩვენზე უარყოფითად არ ასახულა. რუსეთი და აფხაზეთი მეზობლები არიან. როდესაც მეზობელს დიდი ზეიმი აქვს, მეზობლები მას ეხმარებიან და ბუნებრივია მასთან ერთად ზეიმობენ. თუკი სოჭი დღეს და მომავალში, ოლიმპიადის შემდეგ, მოგზაურობისთვის უკეთესი ადგილი გახდება, აფხაზეთშიც მეტი ტურისტი ჩამოვა. ოლიმპიადის შემდეგ საზღვარი კერძო ავტომანქანებისათვის ისევ გაიხსნება.

— **ოლიმპიური თამაშების გამო რუსეთმა თავიდან გააგრძელა საზღვარი. სამხრეთ ოსეთის საზღვარი საქართველოს ტერიტორიის შიგნითაც კი გადაწიეს.**

— (ძალიან ხმამაღლა იცინის) აჰ, საწყალო ევროპელებო, როგორ მეცოდებით. ზრდასრული ადამიანები ხართ და ჯერ კიდევ გჯერათ ზღაპრების!

— **უკაცრავად, მაგრამ არსებობს სერიოზული მოხსენებები, რომელშიც ჟურნალისტები აღწერენ საზღვართან განვითარებულ მოვლენებს.**

— (იღებს ფურცელს და ხატავს) შეხედეთ: ეს არის რუსეთი, ეს აფხაზეთი და ეს მდინარე ფსოუ. საზღვარი მდინარის გასწვრივ გადის და ორივე მხარეს არის უსაფრთხოების ზონა, რომელიც ასევე ეკუთვნის საზღვარს. აქ გადასვლა მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით შეიძლება. ოლიმპიადის გამო ამ ზონის სიგანე, ამჟამად, 11 კილომეტრია. სულ ეს არის. ჩვენ მხოლოდ ვეხმარებით მათ, ოლიმპიურმა თამაშებმა უსაფრთხოდ ჩაიაროს. ქართველებმა ევროპაში გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს, რუსეთი საზღვრებს აფართოებს. ეს ზღაპარია.

— **როგორ აღწერდით მიმდინარე ურთიერთობებს აფხაზეთსა და საქართველოს შორის?**

— (ყოყმანობს) დიდი ხნის ომიანობის შემდეგ, საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა გვინდა, ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ გვსურს ევროპელ და რუს მედიატორებთან ერთად განვაგრძოთ ჟენევის მოლაპარაკებები, მაგრამ ამისთვის საქართველომ, ბუნებრივია, ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენს წინადადებებს.

— **საქართველომ სპორტსმენები გაგზავნა სოჭში, მაგრამ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ამ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა. ამას აქვს თქვენს მოლაპარაკებებზე რაიმე გავლენა?**

— არა, ოლიმპიადას ჩვენი და საქართველოს ურთიერთობასთან არაფერი ესაქმება. სპორტი სპორტი უნდა იყოს და პოლიტიკა პოლიტიკა. მხოლოდ ხანდახან ირევა ეს ორი რამ ერთმანეთში.

— **გახსნის ცერემონიალის დროს, რუსეთის პრეზიდენტთან ერთად, უკრაინის პრეზიდენტსაც ესაუბრეთ?**

— არა, ვიქტორ იანუკოვიჩს არ შევხვედრივარ.

— **რა აზრის ხართ უკრაინაში ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე? იქ ისევე, როგორც თქვენს რეგიონში, საქმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის რუსეთთან ურთიერთობას ეხება.**

— ვფიქრობ, უკრაინაში საშინელება ხდება. ეს ავნებს უკრაინასა და უკრაინელ ხალხს.

— **„საშინელებაში“ რას გულისხმობთ?**

— შეიარაღებული ადამიანები, რომლებმაც აღმართეს ბარიკადები, დაიკავეს შენობები, წვავენ საბურავებს, ძალადობენ ხალხის წინააღმდეგ. ამ პროტესტს კიევში, საზიზღრობას ვუწოდებ.

— **კიევის ქუჩებში უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქეა, რომლებიც საკუთარ უფლებებს იცავენ — ამას ეძახით საზიზღრობას?**

— დიახ, თქვენ დასავლეთ ევროპაში, ალბათ, არ ხართ კარგად ინფორმირებული. რაც იქ სინამდვილეში ხდება, სულ სხვა რამაა.

— **ბოლოს კიევში როდის იყავით?**

— ბევრი წლის წინ.

— **მე სულ რაღაც ორი კვირის წინ ვიყავი. დემონსტრაციაში მონაწილე თითქმის ყველა ადამიანი მშვიდობიანი მოქალაქეა, რომელიც არ მიმართავს ძალადობას.**

— რა თქმა უნდა, იქ ყველაფერი ბრწყინვალედაა და ის, რასაც ტელევიზიით ვხედავთ, ზღაპარია ან სამეცნიერო ფანტასტიკა, არა? რას ამბობთ, როდესაც სპეცდანიშნულების პოლიციელები იწვიან, ეს ძალადობა არ არის?

— **დემონსტრანტებზე გელაპარაკებით, მათგან არც ერთი არ უკიდებს ცეცხლს პოლიციელს. ძალადობის ცალკეული შემთხვევები იყო და ვხედავდი, მიზანმიმართულად როგორ ესროდნენ პოლიციელები ჟურნალისტებს. კიევში, დემონსტრანტების თქმით, რუსეთისგან მეტი დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან, თქვენ საქართველოსგან დამოუკიდებლობისთვის იბრძვით, ამ ორი მოვლენის შედარება შეიძლება?**

— ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის იმის საპირისპიროა, რაც უკრაინაში ხდება. უკრაინას ვინმე დაესხა თავს? არა! ჩვენ საქართველო თავს დაგვესხა. ქართველებმა დაიწყეს ომი. 20 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ თუ მიიხედ-მოიხედავთ, ომის ჯერ კიდევ ბევრ ნიშანს დაინახავთ.

— **თქვენ დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვით. უკრაინაში კი ხალხს ეშინია, რომ დამოუკიდებლობას დაკარგავს.**

— რუსეთმა და კიდევ სხვა ქვეყნებმა გვაღიარეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ეს პროცესი გაგრძელდება. მკითხეთ, რატომ არ ვმონაწილეობთ ოლიმპიადაში. მიზეზი ევროპაშია, რადგან თქვენ, როგორც ერს, არ გვაღიარებთ. უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფოა და არ მესმის, რატომ ან ვისგან უნდა დამოუკიდებლობა, თუმცა ამას უკრაინელები თავად გადაწყვეტენ.

— **რუსეთზე რამდენად ხართ დამოკიდებული?**

— ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, რუსეთი განვითარებაში გვეხმარება.

— **მაგრამ მასზე დამოკიდებული ხართ, მაგალითად, თვითმფრინავით მხოლოდ სოჭის აეროპორტით თუ დაგიკავშირდებით.**

— იცით, რატომაა ასე? აქედან, დაახლოებით, 20 წუთის სავალზე ფანტასტიკური აეროპორტია, მაგრამ იქ არც ერთი თვითმფრინავი არ ჯდება, რადგან საერთაშორისო სტრუქტურებს, საქართველოს მეთაურობით, არ სურს მისი ამოქმედება. საბედნიეროდ, ამ საერთაშორისო სტრუქტურების მხრიდან ყველა მიმართულებით არ ვზარალდებით. ჩვენი რკინიგზა ფუნქციონირებს, გზები და კომუნიკაციები. მართალი ბრძანდებით, აეროპორტის გამო კი რუსეთზე ვართ დამოკიდებული.

— **ეკონომიკის ბევრ ან, შესაძლოა, ყველა დარგშიც რუსეთზე ხართ დამოკიდებული.**

— დიახ, მაგრამ არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთზე დამოკიდებული არ არიან? თქვენ ხომ გერმანელი ხართ?

— **დიახ. მაგალითად, გერმანიის პრეზიდენტი და კანცლერი სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე არ ჩავიდნენ... შეიძლება ეს ჩუმი განაცხადი იყო. შეიძლება მათ საუკეთესო იდეად არ მიაჩნიათ ზამთრის ოლიმპიური თამაშების სუბტროპიკულ საცურაო კურორტზე ჩატარება.**

— (ხმამაღლა იცინის) მაშინ როგორ არის სოჭში ფანტასტიკური ოლიმპიური ნაკრები?

— **როგორც თქვით: სპორტი სპორტი უნდა იყოს და პოლიტიკა პოლიტიკა.**

— არ გგონიათ, რომ ანგელა მერკელი გახსნის ცერემონიალზე სიამოვნებით იქნებოდა და მიესალმებოდა თავის სპორტსმენებს? ანგელა მერკელს თხილამურებით სრიალისას პრობლემები შეექმნა და, ჩემი აზრით, ამიტომ არ ჩამოვიდა სოჭში. სხვა მხრივ, იგი ისევე, როგორც ჩინეთის სახელმწიფოს მეთაური და ბევრი სხვა, დაუქნევდა ხელს სპორტსმენებს.

— **ოლიმპიურ თამაშებში სპორტის თქვენი საყვარელი სახეობა რომელია?**

— ბიატლონი, თხილამურებით სრიალი, ჰოკეი, ყველა ძალიან ლამაზია.

— **კიდევ ერთი პირადი ხასიათის კითხვა მაქვს. თავს ნამდვილ პრეზიდენტად გრძნობთ? თქვენ ხართ პრეზიდენტი, მაგრამ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა არ ცნობს თქვენს ქვეყანას და, შესაბამისად, თქვენს პრეზიდენტობას.**

— თავს აბსოლუტურ პრეზიდენტად მივიჩნევ. თუ ევროპაში ვინმე არ მცნობს, ეს არა ჩემი, არამედ მისი პრობლემაა.

— **თუ აფხაზეთი, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, შეძლებისდაგვარად, მეტ დამოუკიდებლობას მიიღებს, თქვენს ტიტულზე უარს იტყოდით? ამ შემთხვევაში ქვეყნის პრეზიდენტი კი არა, რეგიონის გუბერნატორი იქნებოდით, სამაგიეროდ, თქვენი ქვეყნისთვის მიაღწევდით რაღაცას.**

— (კვლავ ძალიან ხმამაღლა იცინის) საქართველომ წარსულში უკვე ბევრი საჩუქარი მიიღო, მთელი აფხაზეთი იყო საქართველოს საჩუქარი, მაგრამ არ არსებობდა ისტორიული სამართლიანობა. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ, როგორც ევროპელი მიხვდეთ: აფხაზეთი არ არის საქართველო.

— **გაგახარებთ, ქართველებმა ოლიმპიადაზე ოქრო რომ მოიგონ?**

— სპორტსმენები სპორტსმენები არიან, უძლიერესი იმარჯვებს. განსაკუთრებით მახარებს გერმანელი ოლიმპიელების ბევრი მედალი. თუ დახურვის ცერემონიალზე ისევ გავემგზავრები სოჭში, თქვენს გუნდს ვუგულშემატკივრებ. სჯობს, იქ შევხვდეთ ერთმანეთს, ვიდრე კიევში. იქ ჩვენ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ვიდგებოდით.

უკრაინის გაქცეული პრეზიდენტის კრიმინალური წარსული

მე-8 გვერდიდან

ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით, ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე, მისი მომხრეები დაინიშნნენ, ყოფილ ჩინოვნიკებზე კი სამართლებრივი დევნა დაიწყო. ბევრი მათგანი, მათ შორის ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო, გისოსებსმიღმა აღმოჩნდნენ. გაძლიერდა ზეწოლა მედიასაშუალებებზე. უკრაინაში ოლიგარქების რიცხვმა იმატა, პირადად მისი პარტიისა და კამპანიის სპონსორების შემოსავლები და მოგება კი, საეჭვოდ გაიზარდა. იანუკოვიჩმა, პრეზიდენტობის პირველივე წელს არ გამორიცხა რუსეთთან და ბელორუსთან კავშირის შექმნა. გასულ წელს კი, ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე თქვა უარი. ამან უკრაინელების უკმაყოფილება გამოიწვია. მოქალაქეები პროტესტის გამოსახატად ქუჩაში გამოვიდნენ. უკრაინის რადამ კი, მათ ახალი კანონი „შეაგება“, რომლის თანახმად, საპროტესტო აქციების გამართვის წესი გამკაცრდა. უკრაინელების მოთმინების ფიალა სწორედ ამის შემდეგ აივსო. კიევის ცენტრში ათიათასობით ადამიანი გამოვიდა. რამდენიმე თვის განმავლობაში, უკრაინელები თავის უფლებებს, ღირსებას, სამშობლოს მომავალს იცავდნენ. ამ ხნის განმავლობაში, „ბერკუტსა“ და მომიტინგეებს შორის ვითარება არაერთხელ დაიძაბა. მომიტინგეებმა, საბოლოოდ, მთავარ მოთხოვნად, იანუკოვიჩის გადადგომა დააყენეს. პრეზიდენტი დათმობას არ აპირებდა. 18 თებერვლიდან კი, ევრომაიდანზე, „სისხლიანი კვირა“ მოეწყო — სნაიპერები, აქციის მონაწილეებს, პირდაპირ გულში და თავში ესროდნენ. 1000-ზე მეტი მძიმედ დაჭრილი და 100-ზე მეტი გარდაცვლილი — მათ შორის, 2 საქართველოს მოქალაქე. ციფრებში დაახლოებით ასე გამოიხატება ტრაგედია, რომელიც იანუკოვიჩმა უკრაინელებს მოუწყო. 21 თებერვალს, ოპოზიციის ლიდერებთან მოლაპარაკების შემდეგ, იანუკოვიჩი დათანხმდა, გადამდგარიყო. იმავე დღეს პრეზიდენტი ქვეყნიდან გაიქცა. უკრაინა გამარჯვებას ზეიმობს და არჩევნებისთვის ემზადება. მომიტინგეებთან აქციაზე მივიდა და მიზნის მიღწევა მიულოცა, „იანუკოვიჩის პირად მძევლად“ მონათლულმა ტიმოშენკომ, რომელიც პრეზიდენტის გაქცევის შემდეგ ციხიდან გამოუშვეს. ტიმოშენკოს გამოჩენას, უკრაინელების მხოლოდ წამიერი სიხარული მოყვა — მის მიმართ ბევრი კითხვა კვლავ რჩება. იანუკოვიჩი გაიქცა, მაგრამ არ ვიცით, რა ამოძრავებს ტიმოშენკოს, ან სხვა ლიდერებს. კარგად უნდა დავფიქრდეთ, ვის რა ინტერესი აქვს, — აცხადებენ უკრაინელები, რომლებსაც ახლა ახალი თავსატეხი აქვთ — მიღებული მწარე გამოცდილების შემდეგ, ღირსეული, დემოკრატი, ხალხის ერთგული პრეზიდენტი უნდა აირჩიონ.

ელეონორა — საუკეთესო პირველი ლედი

აშშ-ს 32-ე პრეზიდენტის, ფრანკლინ დელანო რუზველტის მეუღლე ელეონორა ისტორიკოს-მეცნიერებმა ქვეყნის საუკეთესო პირველ ლედიდ აღიარეს. ქვეყნის პირველი ქალბატონებისადმი მიძღვნილი გამოკითხვა აშშ-ში 1982 წლიდან 5-ჯერ ჩატარდა და გამარჯვებული ყოველთვის ელეონორა რუზველტი იყო — იგი მხარს უჭერდა ფემინისტურ მოძრაობას, მონაწილეობდა ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ დაარსებასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შედგენაში. ქალბატონი, რომელსაც აშშ-ს 33-ე პრეზიდენტმა, ჰარი ტრუმენმა „მსოფლიოს პირველი ლედი“ უწოდა, სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკაში. რეიტინგის მეორე ადგილზე ებიგეი ადამსია, ქვეყნის მე-2 პრეზიდენტის, ჯონ ადამსის მეუღლე, მესამე საფეხური კი მე-3 პრეზიდენტის მეორე ნახევარმა, ჟაკლინ კენედიმ დაიკავა. პირველ ხუთეულში შევიდნენ ასევე მე-4 პრეზიდენტის, ჯეიმს მედისონის ცოლი დოლი და ქვეყნის ამჟამინდელი პირველი ლედი მიშელ ობამა. ჰილარი კლინტონი, 42-ე პრეზიდენტის მეუღლე, რომელიც 2008 წლის გამოკითხვაში მეოთხე ადგილზე იყო, ამჯერად მეექვსეზე ჩამოქვეითდა. აშშ-ს პირველი ქალბატონების რეიტინგი 242 ისტორიკოსის, პოლიტოლოგისა და სხვა მეცნიერების გამოკითხვის შედეგად შეადგინეს.

ცოლის მაღალი ხელფასი ქორწინებას ამყარებს

ამერიკელი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ცოლის შემოსავალი ოჯახს კი არ ანგრევს, პირიქით, ამცირებს წყვილის დაშორების რისკს: თუკი ცოლის ხელფასი 20%-ით აღემატება ქმრის შემოსავალს, მათი დაშორების ალბათობა 80%-ით მცირდება. სპეციალისტები 4 ათასი ოჯახური წყვილის ურთიერთობას აკვირდებოდნენ და რაც უფრო მაღალი იყო ცოლის ხელფასი, მით მტკიცე აღმოჩნდა ქორწინება. შესაძლოა, მეუღლის მაღალი შემოსავალი კაცებს მათთან დაშორების სურვილს უქრობს, — ვარაუდობენ ექსპერტები და დასძენენ, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთაც პატარა ბავშვები ჰყავთ, საკუთარი სურვილით კი არა, აუცილებლობის გამო მუშაობენ. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მათ 30%-ზე მეტს დიასახლისობა სურს, ყოველი 10 ქალიდან კი 6 არასრულ სამუშაო დღეს არჩევს.

ხელოვნების ნიმუშები ნაგავში გადაყარეს

იტალიის ქალაქ ბარიში დამლაგებელმა შემთხვევით ნაგავში გადაყარა ექსპონატები, რომელიც თანამედროვე ხელოვნების გამოფენისთვის იყო მომზადებული. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, ნაგვადმიჩნეული ხელოვნების ნიმუშები ქაღალდისა და მუყაოსგან იყო დამზადებული, ხოლო ერთ-ერთი კომპოზიცია იატაკზე მიმოფანტული ორცხობილის ნამცეცებსაც ითვალისწინებდა. რა სახელწოდების იყო გადაყრილი ნიმუშები და ვინაა ავტორი, უცნობია. გამოფენა, სახელწოდებით Display Mediating Landscape ორიოდე დღის წინ, ოტელ Murat-ში გაიხსნა. სასტუმროს წარმომადგენლის განცხადებით, გადაყრილი ექსპონატების ღირებულება დაახლოებით 10 ათასი ევროა და კომპანია ამ თანხას საკუთარი დაზღვევიდან გადაიხდის. სხვათა შორის, მსგავსი ინციდენტი მოხდა 2001 წელს ლონდონის გალერეაში, სადაც დამიენ ჰერსტის ნამუშევრების გამოფენაზე, ჭუჭყიანი ყავის ჭიქების, ფერფლის, ცარიელი ლუდის ბოთლებისა და დაკუჭული გაზეთებისგან შექმნილი კომპოზიცია დამლაგებლებმა არეულობად მიიჩნიეს და გადაყარეს.

ელექტროპრეზერვატივი შექმნეს

კონტრაცეპციის ამ საშუალებას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ სექსუალური აქტის დროს მგრძნობელობას აქვეითებს და, როგორც ჩანს, სპეციალისტების ჯგუფმა ეს პრობლემაც მოაგვარა — მოწყობილობის პროტოტიპი შექმნეს, რომელიც მოკლე ელექტრულ იმპულსებს უგზავნის პრეზერვატივის შიდა მხარეს, ასეთი სტიმულაცია კი მგრძნობელობას ზრდის. მოწყობილობის ავტორები ფირაზ პირი და ენდრიუ კიტმეიერი არიან, რომელთაც ექსპერიმენტისთვის ბაზარზე არსებული, ჩვეულებრივი პრეზერვატივები გამოიყენეს. სტიმულაციის გაკონტროლება, ავტორების თქმით, ადამიანს თავად შეეძლება და, როგორც მართვის სისტემის ტესტირებამ აჩვენა, მოწყობილობის მუშაობის მექანიზმი მარტივია. რაც შეეხება უსაფრთხოებას, გამოიყენება სუსტი მუხტი, რომელიც ადამიანს ზიანს არ აყენებს.

ყავის ნაცვლად, ელექტროენერგია

ამერიკელმა სამხედროებმა ჩვეულებრივი ყავისა და ენერგეტიკული სასმელის შემცვლელის მოძიება გადაწყვიტეს და გაირკვა, რომ ელექტროენერგია ყავის კარგი შემცვლელია, ბიომედიკოს ენდი მაკკინლის კვლევის შედეგები კი ამის თვალსაჩინო მაგალითია. ექსპერიმენტისას სპეციალისტმა მოხალისეების ორი ჯგუფი გამოიყენა — ერთის წევრები კოფეინს იღებდნენ, სხვები კი ორგანიზმს ელექტრობით აფხიზლებდნენ, მართალია, სასმელი ორჯერ ეფექტური იყო, მაგრამ მისი მოქმედება ხანმოკლე აღმოჩნდა, ხოლო. ვინც დენის ძალა გამოსცადა, ბევრ ამოცანას უკეთ გაართვა თავი. გარდა ამისა, ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ ზომიერი ელექტროსტიმულაცია საშუალებას იძლევა, კოფეინისგან გამოწვეულ გვერდით მოვლენებს თავი ავარიდოთ.

შავი ჩაი მავნებელია

ამერიკელმა სწავლულებმა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტიდან მასშტაბური გამოკვლევა ჩაატარეს სხვადასხვა პროდუქტის გავლენაზე და სუსტი სქესის 76 ათასზე მეტი წარმომადგენელი გამოიკვლიეს, შედეგად კი ასეთი დასკვნა გააკეთეს: ჩაისა და რევმატულ ართრიტს შორის არსებობს კავშირი და ამ სასმელის ინტენსიური მოხმარება, უფრო ზუსტად კი, დღეში ოთხ ფინჯანზე მეტი მაგარი ჩაის დალევა ზრდის რევმატული ართრიტის წარმოშობის რისკს, თუმცა, ამის მიუხედავად, მკვლევარები არ მოგვიწოდებენ, უარი ვთქვათ ჩაის მოხმარებაზე — მასში მართლაც ბევრი ანტიოქსიდანტი და მატონიზირებელი ნივთიერებაა. შესაძლოა, სახსრებზე ჩაის ნეგატიურ გავლენას მისი ფერმენტები იწვევდეს, რაც სასმელს ფერს აძლევს ანუ რაც უფრო მუქი შეფერილობისაა ჩაი, მით აგრესიულია მისი ფერმენტები. ასე რომ, თუ ჩაის სმის დიდი მოყვარული ხართ, მხოლოდ ერთი-ორჯერ დალიეთ დღეში.

ბავშვებს კითხვას კატები „ასწავლიან“

პროგრამა „წიგნის მეგობრების“ ფარგლებში, აშშ-ში, ს ბერკსის ოლქში სკოლების 1-8-კლასელები ცხოველების გადარჩენის ლიგის ადგილობრივ განყოფილებაში მიდიან, სადაც ხმამაღლა კითხულობენ წიგნებს. ოთახში ცხოველების არსებობა მოსწავლეებს კითხვის უნარს უვითარებს — ადამიანის ოთხფეხა მეგობრებს არ შეუძლიათ ბავშვის უნარის შეფასება არც სიტყვით და არც ჟესტით, კატა ვერ გაკიცხავს ცუდი კითხვისთვის, სამაგიეროდ, ყოველთვის შეიძლება მიეფერო, ეს კი ბავშვებს უფრო ამშვიდებს. ტაფტსის უნივერსიტეტის სწავლულთა მონაცემებით, პროგრამა „წიგნის მეგობრების“ მონაწილეები კითხვის საათების დროს უფრო ყურადღებიანები ხდებიან ამა თუ იმ საგნის მიმართ და სასკოლო საგნებსაც უკეთ სწავლობენ.

REUTERS/Scanpix

მოწყენილობა ჯანმრთელობისთვის საშიშია

ესპანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ სამსახურში ადამიანის დაღლილობის მიზეზი მხოლოდ სტრესი კი არა, მოწყენილობაა. სარაგოსას უნივერსიტეტის ფსიქიატრების თქმით, ყოველდღიურად ერთი და იგივე საქმის შესრულება თანამშრომლებს უფრო მეტად ღლის, ვიდრე ცაიტნოტური თუ სხვა სტრესული ვითარება. ამ დროს ადამიანი უფრო რთული და საინტერესო ამოცანების წინაშე დგება, გამუდმებულ მოწყენილობას კი აპათიამდე მიჰყავს. სპეციალისტებმა 500-მდე ადამიანი გამოკითხეს და გაარკვიეს, რომ სამსახურში მოწყენილობა ყველაზე მეტად აწუხებს მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანებს. ერთგვაროვნებისგან თავისდასაღწევად კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, მეგობრებთან ხშირ შეხვედრებსა და ახლობლებთან ურთიერთობას ურჩევენ.

სუდოკუ

ადვილი

7			6	3		4		
	6	2	1					5
							1	
				7	9		8	
			8	5	2			
	9		3	6				
	7							
4					8	5	7	
		5		2	6			4

სტანდარტი

							1	9
			6			8		
				1	8	5	3	
				4	7		9	
2			5		3			1
	5		2	9				
	6	9	1	3				
		8			5			
7	2							

რთული

7		2	1		6			
				8		6		
8		4						7
		1	3		9		8	
				6				
	5		8		4	7		
3						2		5
		7		4				
			2		3	9		6

ექსპერტი

	7	6			8			
5		3	2		9			
1			7				3	
				8		6	7	
		4				9		
	6	5		9				
	3				1			7
			9		4	5		3
			3			8	9	

მოწევა მემკვიდრეობით ვადადის

ისეთი მავნე ჩვევა, როგორიც თამბაქოს მოწევაა, გარკვეულ ანაბეჭდს ტოვებს გენეტიკაზე და შედეგები, შესაძლოა, თაობიდან თაობას გადაეცეს. მაგალითად, იმ ქალის შვილიშვილი, რომელიც თავგამოდებული მწეველი იყო, შესაძლოა, ასთმით იყოს დაავადებული, — ასეთ ვარაუდს გამოთქვამენ ამერიკელი მეცნიერები ლოს-ანჯელესის ბიოსამედიცინო კვლევითი ინსტიტუტიდან. მათ მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ნიკოტინი თავისებურ კვალს ტოვებს ადამიანის გენომზე. ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა — ფეხმძიმე მღრღნელებს აძლევდნენ ნიკოტინს, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მათი შთამომავლობა ასთმისკენ იყო მიდრეკილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პათოლოგიური გენი შემდგომ თაობასაც გადაეცემოდა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყვნენ ნიკოტინის ზემოქმედების ქვეშ.

ბოტოქსს გასახდომად გამოიყენებენ

სპეციალისტებმა ბოტოქსს ახალი დანიშნულება მოუძებნეს და ამტკიცებენ, რომ თუ მას, უშუალოდ, კუჭში შეიყვანენ, საკვების მოძრაობას შეანელებს, რაც, თავის მხრივ, სხეულის მასას შეამცირებს. ახლა მკვლევარები ცდილობენ, გაარკვიონ, შეიძლება თუ არა ბოტოქსის წარმატებით გამოყენება სიმსუქნესთან ბრძოლაში, რამდენად ეფექტური და უსაფრთხო იქნება ის ამ შემთხვევაში. არსებული თეორიის მიხედვით, თუ ბოტულიზმის ტოქსინის ინექციებს პირდაპირ ნაწლავის კედელზე შევიყვანთ, საკვების გადაადგილების სიჩქარე შემცირდება, რაც ნიშნავს, რომ დანაყრების შეგრძნება ადამიანს დიდხანს გაჰყვება. კვლევები მღრღნელებზე ჩატარდა და გაირკვა, რომ ამ ტექნოლოგიის წყალობით წონაში დაკლება 35%-ით გარანტირებულია, თანაც ამისთვის მხოლოდ ხუთი კვირაა საჭირო. ნორვეგიელი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ბოტოქსი სიმსუქნის მკურნალობისას ქირურგიულ მეთოდებს ჩაანაცვლებს.

აბები ფასტ-ფუდს შეგაზიზღებთ

ბრიტანელმა მეცნიერებმა ლივერპულის უნივერსიტეტიდან ახალი პრეპარატი შექმნეს, რომელიც ადამიანს დაბალკალორიული საჭმლის მიღებისკენ უბიძგებს. გახდომის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, ახალი მედიკამენტი იმით გამოირჩევა, რომ მადას არ აქვეითებს და არც გვერდითი მოვლენები ახასიათებს, არ იწვევს ძილიანობას და არც კუჭის ფუნქციის დარღვევას. მისი მთავარი თვისება კი ისაა, რომ ორგანიზმისთვის მავნე საჭმელს უგემურს ხდის, ხოლო მცენარეული კი ამ დროს გემრიელი და გაცილებით მიმზიდველი ხდება. დიეტოლოგების აზრით, ახალი აბები შესანიშნავი საშუალებაა, რომელიც ცხიმიანობისა და ნახშირწყლების დონეს აქვეითებს.

უძილობა გენებზე მოქმედებს

მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში არასაკმარისი ძილი ორგანიზმში უამრავ ცვლილებას იწვევს, რაც ნივთიერებათა ცვლაზე უარყოფითად მოქმედებს. ბრიტანელი მეცნიერები ძილის, როგორც რეგენერაციული (აღმდგენი) ეფექტის კვლევით დაკავდნენ, თუბინგენის უნივერსიტეტის მკვლევართა გუნდი კი მეხსიერების ფორმირებაში ძილის მნიშვნელობას სწავლობდა. ძილი საჭიროა ზრდის, განვითარების, ნივთიერებათა ცვლისა და იმუნური სისტემისთვის. ის ეხმარება ადამიანს ნასწავლის გადამუშავებაში და უკვე არსებულ ცოდნასთან დაკავშირებაში. ორივე კვლევის შედეგი ამტკიცებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ძილის ნაკლებობა ასობით გენზე მოქმედებს, რომელიც უშუალო კავშირშია იმუნურ სისტემასთან, ანთებით პროცესებსა და სტრესულ რეაქციებთან. სწავლულების განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში მუდმივი გამოუძინებლობა, ჯამში, 711 გენზე ახდენს გავლენას და მოქმედებს მათ აქტიურობაზე.

კივი დაავადებების წინააღმდეგ



კივის რეგულარულად მოხმარებას შეუძლია ზოგიერთი საშიში დაავადება შეაჩეროს და ამიტომ, თამამად შეგვიძლია ამ ხილს ქალებისთვის იდეალური პროდუქტი ვუწოდოთ, რადგან ჭარბ წონას ებრძვის, სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ახალგაზრდობასა და სილამაზე უნარჩუნებს. კივის სამშობლო ჩინეთია, მისი სახელი კი ფრინველ კივისთან მსგავსებამ განაპირობა. რატომ უნდა მიირთვათ კივი:

1. ერთი ნაყოფი C ვიტამინის დღიურ ნორმას შეიცავს და იმუნურ სისტემას აძლიერებს, ეხმარება ორგანიზმს სტრესთან ბრძოლაში.
2. ნაწლავების მუშაობას აუმჯობესებს, საკმარისია დღეში 2 ნაყოფი მიიღოთ.
3. თუკი სადღესასწაულო სუფრაზე ბევრი მიირთვით და კუჭში სიმძიმეს გრძნობთ, უბრალოდ, 2-3 კივი მიირთვით.
4. ნორვეგიელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ამ ხილს შეუძლია ცხიმების დაწვა, რომელიც არტერიებს ბლოკავს და ამ გზით თრომბების წარმოქმნის რისკს ამცირებს.
5. დღეში სამჯერ კივის მიღება სისხლის წნევას ამცირებს.
6. კივის რეგულარულად მოხმარებას შეუძლია ზოგიერთი, მეტად საშიში დაავადება შეაჩეროს — ათეროსკლეროზი, გულის უკმარისობა, ალცჰეიმერის, პარკინსონის დაავადებები და კიბო.
7. აღსანიშნავია, რომ კივის კანი უფრო მეტ ანტიოქსიდანტს შეიცავს, ვიდრე რბილობი, მას ანტისეპტიკური თვისებები აქვს და ხელს უშლის მავნე ბაქტერიების გავრცელებას კუჭში.

ვიტამინების კომპლექსი არაეფექტურია



რამდენიმე ხნის წინ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მულტივიტამინურ კომპლექსს ჯანმრთელობისთვის რეალური სარგებელი არ მოაქვს, თუმცა, მილიონობით ადამიანი მაინც ჯიუტად აგრძელებს მათ მოხმარებას და პრეპარატებს მწარმოებელი ფირმის მიმართ სიმპათიის მიხედვით ირჩევს. ბოლო გამოკვლევაში 12 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, მათგან 45% დარწმუნებული იყო, რომ მულტივიტამინები მათ ჯანმრთელობას წაადგებოდა, 33% ფიქრობდა, რომ ვიტამინების კომპლექსი ჯანმრთელობას შეუნარჩუნებდა, 23% კი ვიტამინებს ექიმის რჩევით იღებდა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	5	4	7	6	3	9	8	2
2	3	9	1	8	5	6	4	7
6	8	7	4	2	9	5	3	1
9	1	3	8	7	4	2	6	5
4	2	8	6	5	1	3	7	9
7	6	5	3	9	2	4	1	8
8	9	6	5	3	7	1	2	4
3	4	2	9	1	8	7	5	6
5	7	1	2	4	6	8	9	3

სტანდარტი

9	7	6	5	3	4	8	1	2
5	1	2	8	7	9	6	4	3
4	3	8	2	6	1	5	9	7
2	8	7	1	4	3	9	6	5
6	5	9	7	2	8	4	3	1
3	4	1	9	5	6	7	2	8
1	2	5	6	9	7	3	8	4
8	6	4	3	1	5	2	7	9
7	9	3	4	8	2	1	5	6

რთული

9	1	7	8	6	5	4	3	2
4	2	3	1	7	9	5	8	6
8	6	5	2	3	4	1	9	7
1	5	4	9	2	6	8	7	3
2	9	8	7	5	3	6	1	4
7	3	6	4	1	8	9	2	5
6	4	2	3	9	1	7	5	8
5	7	1	6	8	2	3	4	9
3	8	9	5	4	7	2	6	1

ექსპერტი

1	4	3	9	6	8	7	2	5
2	7	8	1	5	4	6	9	3
9	6	5	2	3	7	8	4	1
6	8	1	4	9	5	3	7	2
7	5	4	3	2	1	9	8	6
3	9	2	8	7	6	1	5	4
8	3	9	5	1	2	4	6	7
4	2	7	6	8	3	5	1	9
5	1	6	7	4	9	2	3	8

მე-12 გვერდი: 1. კასტეტი; 2. ყიფლიბანდი; 3. იახსარი; 4. ლიმპოპო; 5. სენტიმენტალიზმი; 6. ექსტერიერი; 7. თხემი; 8. ნატურმორტი; 9. აიბოლიტი; 10. ნასკა; 11. გრაფი; 12. ანოა; 13. ელიტა; 14. „გრემი“; 15. ალია; 16. ტრაპი; 17. ბალზაკი; 18. ბოტი; 19. იერი; 20. ტრიუმვირატი; 21. ზრო; 22. ლორკა; 23. ხვალ; 24. ჰეტერა; 25. ტორტი; 26. ტევიე; 27. ჰელიკოპტერი; 28. ტავერნა; 29. ელი; 30. არი; 31. კეტი; 32. იოაკიმი; 33. მილენიუმი; 34. ომფალიტი; 35. ირა; 36. „ლევისი“; 37. ფრაკი; 38. სირ; 39. ცდო; 40. ძუა; 41. ულმი; 42. მოცვი; 43. ილიონი; 44. ანაფორა; 45. პოლო; 46. სინთეზი; 47. „სიმდი“; 48. ათაბაგი; 49. პიურე; 50. ანტი; 51. რასპე; 52. ფორა; 53. აბაკი; 54. პინო; 55. ჭეო; 56. ირანი; 57. ომანი; 58. ლიტა; 59. ახო; 60. ნობილე; 61. ბიენალე; 62. ია; 63. ფილ; 64. ბურთი; 65. ამიენი; 66. ეტა; 67. ბირი; 68. აბო; 69. ციკლოპი; 70. „აბბა“; 71. ზმა; 72. რუ; 73. რეი; 74. ცდა; 75. კიო; 76. „ომნია“; 77. რაე; 78. გენია.

1. მამაკაცის სასქესო უჯრედი
2. ძროხა პირველი ხბოს მოგებამდე
3. ადამიანის ფეხის ქვედა ნაწილი
4. დიდი ფრანგი მათემატიკოსი
5. ფოჩებიანი დიდი შალი
6. ნახევარგამტარებით მომუშავე პატარა რადიომიმღები
7. თავადზე დაბალი ტიტული
8. მსხვილი მონოპოლის. კაპიტალის წარმომადგ.
9. მიწაში ამოთხრილი ადგილი
10. მექანიზმის, მანქანის ნაწილი
11. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში
12. ფუტკრის სახლი
13. ქრისტეს წინამორბედი
14. ესპანეთის საკურორტო კუნძული
15. კალათბურთის გამომგონებელი
16. ადამიანის ცხოვრების აღწერა
17. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
18. ბერძნული ანბანის ასო
19. მაუგლის მეგობარი დათვი
20. პატარა ტყე მინდორში
21. სომეხთა წმინდანი ქალი
22. სიციელის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
23. ისლანდიელი მომღერალი ქალი
24. კრების წერილობითი ჩანაწერი
25. ვაზის წყვილმტვნიანი რქა
26. სპილბერგის „უცხოპლანეტელი
27. სოფელი ადიგენის რაიონში
28. საქართველოს პირველი დედაქალაქი
29. თანამედროვე ეგვიპტის დედაქალაქი
30. თბილ. „დინამოს“ ექსმწვრთ. ... შუმაკი
31. ჩინეთის იმპერ. დინას.
32. ხორთუმ. ცხოველი
33. მტაცებელი თევზი
34. გრაფი სეგედის როლის შემსრულებ.
35. ორი ერთმანეთში გაუყს. სითხის ნარევი
36. დიდი ფრინველის ჰაერში ლიელილი
37. ბავშვთა სასრიალო მარხილი
38. საზეიმო სვლა, პროცესია ავტომობილების თანხლებით
39. ცხენირემი
40. სალამის! გამარჯობა! ლათინურად
41. რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავი
42. გუშპის მუცელში მკვდარი ბიბლ. პერსონ.
43. ქართველი მეცოსპორანო
44. საგანთა ჩამონათვალი
45. ინგლ. სქელი ლუდი
46. ფუტკრის ნობათი
47. ყოფილი ფრანგი ჩოგბურთელი
48. ხრიკი, ფანდი
49. მარილიანი ტბა ბოლივიაში
50. კურკოვანი ხეხილოვანი მცენარე
51. მოულოდნელი რევიზია
52. ავტომობილების მწარმოებელი ფრანგ. კომპანია
53. დანიის სიდიდით მესამე ქალაქი
54. ალაზნის მარჯვენა შენაკადი
55. ზღვაოსანთა კუნძულები
56. პლანეტა იუპიტერი ძველქართ.
57. მაყურებელთა შეძახილი კონცერტზე ნომრის გამეორების თხოვნით
58. ლეგენდარული საბჭოთა მეკარე
59. მუსიკოსი ... დილანი
60. დუმბაძის „... ვხედავ მზეს“
61. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
62. რუმინეთის ქალაქი, სადაც ბესიკ გაბაშვილი განისვენებს
63. ფელინის მშობლიური ქალაქი

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შინდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.